საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-კვირა, 14-15 დეკემბერი. 2019 წ. №247 (8913) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბატონო პრემიერო, რუსთაველის პროსპექტს სასწრაფოდ მოაშორეთ პოლიტიკური ხულიგნების კარვები!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია პარლამენტში 12 დეკემბერს მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა. მისი შეფასებით, პოლიტიკურ ხულიგნებს ვერ გაურკვევიათ, რა არის ქუჩის პოლიტიკა და საპარლამენტო პროცესები.

„სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკურ პროცესში გაჩდნენ პოლიტიკური ხულიგნები, რომლებიც სადღაც ხსნარს გააფრქვევენ. ვერ გაურკვევიათ, რა არის ქუჩის პოლიტიკა და საპარლამენტო პროცესები, მათი ადგილი არის ქუჩაში და ვფიქრობ, დიდი ხანი მოუწევთ პარლამენტთან კარვებში ცხოვრება“, — განუცხადა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებს. პარლამენტის სხდომათა დარბაზში რამდენიმე ადამიანი გუშინაც შეუძლოდ გახდა.

ილია მეორე: სადაც არ უნდა იყოს ქართველი ადამიანი, ის ეკუთვნის საქართველოს ეკლესიას და სულიერად ემორჩილება საქართველოს პატრიარქს

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მრევლს ანდრია პირველწოდებულისა და ვახტანგ გორგასალის ხსენების დღე მიულოცა.

დღესასწაულთან დაკავშირებით პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში წირვა აღავლინა და შემდეგ მრევლს ქადაგებით მიმართა. **„დღეს არის ხსენება წმინდისა მოციქულისა ანდრიასი. ჩვენი განმანათლებელია, ჩვენი მომქცეველი. მან იქადაგა პირველად სახარება საქართველოში. მან მოაბრძანა ხატი წმინდა ღვთისმშობლისა“,** — განაცხადა პატრიარქმა.

დღესვე მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს წმინდა მეფის ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეს. ილია მეორის თქმით, ვახტანგ გორგასალს განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. **„თქვენ იცით, რომ ვახტანგ გორგასლის თხოვნით და მისი შუამდგომლობით ანტიოქიის პატრიარქმა უბოძა საქართველოს მეთაურს კათოლიკოსის წოდება. ეს მხოლოდ ანტიოქიის პატრიარქს შეეძლო. სიტყვა კათოლიკოსი წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან „კათოლ“ — „საყოველთაო“, ე.ი. სადაც არ უნდა იყოს ქართველი ადამიანი, ის ეკუთვნის საქართველოს ეკლესიას და სულიერად ემორჩილება საქართველოს პატრიარქს.**

ვაჟა გაფრინდაშვილმა ცხინვალის სასამართლო ბოლომდე დაასამარა!



ოკუპანტების მიერ გატაცებული ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი ცხინვალის ე.წ. სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. დე ფაქტო პროცესი ოკუპირებულ ცხინვალში დახურულ რეჟიმში გაიმართა. სხდომას თავად ვაჟა გაფრინდაშვილიც დაესწრო. ექიმის ინტერესებს ვლადიკავკაზელი ადვოკატი იცავდა.

საქმეს ე.წ. ლენინგორის რაიონის (ახალგორი) სასამართლო განიხილავდა, რომელიც სხდომებს ცხინვალში ატარებს. ექიმის საქმის მოსამართლე ფატიმა პარასტაევა იყო, რომელმაც 2019 წლის ივლისში, ახალგორელ სამოქალაქო აქტივისტ თამარ მეარაყიშვილს ე.წ. პროკურატურის მიერ წაყენებული ყველა ბრალდება მოუხსნა..

ვაჟა გაფრინდაშვილის საკითხი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 50-ე რაუნდის მთავარი თემა იყო.

მანამდე ეს საკითხი უცხოელ პარტნიორებთან გამართული შეხვედრების დროს ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა 6 დეკემბერს, ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთან მიროსლავ ლაიჩაკთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ არსებობს პოზიტიური ნიშნები, რომ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს მალე გაათავისუფლებდნენ...

დავით ასათიანი: ვაჟა გაფრინდაშვილი ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებას არ აღიარებს!

ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი სრულიად სამართლიანად არ აღიარებს ბრალდებას, — ამის შესახებ ადვოკატმა დავით ასათიანმა საქართველოს პირველ არხს განუცხადა.

როგორც დავით ასათიანმა აღნიშნა, ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის სასამართლომ ვაჟა გაფრინდაშვილი ისევ პატიმრობაში დატოვა.

„ვესაუბრე ადვოკატს, პატიმრობაში რჩება, სამწუხაროდ. ის არ აღიარებს ბრალს. ისევ იმ პოზიციაზე დგას. ე.წ. სასამართლო სხდომა შემდგომ კვირაში დაიგეგმა. ჩვენ გვაქვს შეხება აბსოლუტურად არაკონტროლირებად წარმოუდგენელ სასამართლო პროცედურასთან და პროგნოზირება არის შეუძლებელი. ახლა დეტალებს ვარკვევთ“, — განაცხადა ადვოკატმა.

ქართველებო, არ მიატოვოთ სამშობლო!

5

იმ მიგრანტებს ენიჭებათ უპირატესობა, რომლებიც ქრისტიანები არიან და ენები იციან

სახე ზხამიანთა...

გოგა ხაინდრავა: ეკა გიგაური და მისი დანესებულება წამლავენ საზოგადოებას სიცრუით, სიყალბით, ცილისწამებით

3

შიშის სუნი

ახალგორელებისთვის ბინების ჩამორთმევას აპირებენ

4

რა ღირს გზა მადაგასკარიდან ცხინვალამდე და უკან

6

გიორგი გახარიამ და ვოლოდიმირ ზელენსკიმ შეთანხმებას მოაწერეს ხელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ პირისპირ შეხვედრისას განიხილეს ორი ქვეყნის საერთო ევროპული პერსპექტივა და ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები.

ხაზი გაესვა ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს, ამან კი ორივე სახელმწიფოსთვის კონკრეტული შედეგები უნდა მოიტანოს.

პრემიერ-მინისტრმა გახარიამ და პრეზიდენტმა ზელენსკიმ ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე, რაც გამიზნულია უსაფრთხოების კუთხით საერთო გამოწვევების გადალახვაზე და წარმატების მიღწევაზე ორი სახელმწიფოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით.

პირისპირ შეცხვედრის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაფართოებული შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ირაკლი ჩიქოვანი ესწრებოდნენ. შეხვედრის დასრულებისთანავე გიორგი გახარიამ და ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოსა და უკრაინის მაღალი დონის სტრატეგიული საბჭოს შექმნის თაობაზე.

სტრატეგიული საბჭოს საქმიანობა მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას — პოლიტიკურს, სავაჭრო-ეკონომიკურს, თავდაცვა-უსაფრთხოებასა და კულტურულ-ჰუმანიტარულს. თითოეული მიმართულებით შექმნილ სამუშაო ჯგუფებს შესაბამისი მინისტრები უხელმძღვანელებენ, რაც ორმხრივი ყოვლისმომცველი დიალოგის მაღალ დონეზე წარმართვას უზრუნველყოფს.

ორი ქვეყნის ლიდერებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი შეთანხმების უმაღლეს დონეზე ხელმოწერა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ორი სახელმწიფოს მზაობას, ურთიერთობები კიდევ უფრო მაღალ დონეზე გადაიყვანონ.

ზურაბიშვილმა საფრანგეთის ელჩი მიიღო

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველოში საფრანგეთის ელჩ დიეგო კოლასს შეხვდა და საქართველო-საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების საკითხები განიხილა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, შეხვედრისას აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ის ღონისძიებები, რომლებიც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებისთვის ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში განხორციელდა.

საფრანგეთის ელჩის განცხადებით, ბოლო პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტი რამდენიმე ღონისძიებას დაესწრო, მათ შორის ფრანგული საზღვაო გემის „Commandant Birot“ შავ ზღვაში შემოსვლას.

„ჩვენ გვაქვს დიმიტრი ამილახვარის სახელობის ძალიან მნიშვნელოვანი ქართულ-ფრანგული დიალოგი, რომელსაც საფუძველი ოფიციალურად პარიზში, 2 დეკემბერს ჩაეყარა და რომლის ფარგლებშიც ყოვლისმომცველ და ძალიან დეტალურ კომუნიკეზე შევთანხმდით.

ასევე, ამ დღეებში მიგრაციის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია მიმდინარეობდა. კონფერენციის ფარგლებშიც პრეზიდენტ ზურაბიშვილთან ძალიან საყურადღებო დიალოგი გვქონდა კონფერენციაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით“, — განაცხადა საფრანგეთის ელჩმა.

პარლამენტში საპროკურორო საბჭოს წევრების არჩევა გადაიდო

პარლამენტში **საპროკურორო საბჭოს წევრები უნდა აერჩიათ, თუმცა კენჭისყრა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მოთხოვნით გადაიდო.**

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატებს საპროკურორო საბჭოს კანდიდატები რევაზ მიქაბერიძე და თეა ხამხაძე წარუდგინა და ის პროცედურები გააცნო, რაც მათ პარლამენტში გაიარეს. ამის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ სიტყვით გამოსვლისას კენჭისყრის გადადება მოითხოვა.

„ამ ცხელი დღეების გამო და ოპოზიციის მავნებლობის ფონზე, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, იცით, რომ ვერ მოესწრო ამ კანდიდატების დეტალურად გავლა. აქედან გამომდინარე, მე მაქვს პასუხისმგებლობა, რომ უმრავლესობის წევრებს გავაცნოთ ამ კანდიდატების ვინაობის შესახებ და გარკვეული კონსულტაციები დამატებით გავიაროთ. ამიტომ დღეს კენჭისყრა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. გადავდოთ კენჭისყრა. ჩვენ მოგვიწევს რიგგარეშე სასესიო კვირაში სხვადასხვა საკითხის გავლა და კენჭისყრები და გთავაზობთ, ამ კვირაში ვუყაროთ კანდიდატებს კენჭი“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

საპროკურორო საბჭოს ორი წევრის ასარჩევად საქართველოს პარლამენტის მიერ კონკურსი 2019 წლის 31 ოქტომბრიდან გამოცხადდა.

კახა კალაძე: დამტკიცებულ მოსამართლეებს შორის არის რამდენიმე ოდიოზური ფიგურა

ოთარ ჩრდილელის მიერ პარლამენტის დატოვება იყო მისი პირადი გადაწყვეტილება და არავის არა აქვს უფლება, შევიდეს მის პირად სივრცეში, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

თბილისის მერი პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დამტკიცებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მთავარია, სასამართლო სისტემა გაჯანსაღდეს.

„მოსამართლეებთან დაკავშირებით ჩემს მიდგომას და დამოკიდებულებას რაც შეეხება, მე არაერთხელ მისაუბრია ამ თემაზე. ჩვენთვის მთავარი არის, რომ საზოგადოებას სასამართლოს მიმართ ჰქონდეს განსხვავებული მიდგომები და დამოკიდებულება. ინდივიდუალურად რაც შეეხება მოსამართლეებს, გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით უკვე მიღებული იქნა, ბევრი არ იქნა დამტკიცებული, თუმცა მათგან ვინც დამტკიცდა, არის რამდენიმე ოდიოზური ფიგურა, ეს ჩემი მოსაზრებაა. ჩვენთვის მთავარი არის გავაჯანსაღოთ სისტემა. მთავარი ის იყო, რომ იყო ერთი ადამიანი — მიხეილ სააკაშვილი და მისი დაჯგუფება. ეს ერთი ადამიანი იყო სასამართლო, პარლამენტი, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო“, — განაცხადა კალაძემ.

„რიყის დოქები“ 1 ლარადაც არავის არ უნდა!

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, „რიყის დოქების“ სიმბოლურ ფასად, 1 ლარად მიღებაზე ინვესტორები უარს აცხადებენ.

დედაქალაქის მერის თქმით, ის რამდენჯერმე შეხვდა ბიზნესმენებს და ფართის 1 ლარად გადაცემა შესთავაზა იმ პირობით, რომ პროექტი დაესრულებინათ და მოეწესრიგებინათ, თუმცა გულისყური არავის გამოუჩენია. **„როდესაც ნახეს, თუ რა ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ყველამ უარი განაცხადა. სამუშაოების დასრულებას, დაახლოებით, 18-20 მილიონი სჭირდება. შესაბამისად, ასეთი პროექტების განხორციელება ბიზნესისთვის რთულია. რასაც გარედან ვხედავთ, შიგნით არის დაუმთავრებელი ოთხსართულიანი შენობა. იქ ძალიან დიდი სიბინძურეა, შესაბამისად, ამას ერთიანი მიდგომა სჭირდება, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული“,** — განაცხადა კალაძემ. „რიყის დოქების“ ამჟამინდელი მფლობელი ეკონომიკის სამინისტროა. **ნაგებობა, რომლის მშენებლობაც 2012 წელს დასრულდა, ამ დრომდე უმოქმედოა. მასზე 75 მილიონი ლარი დაიხარჯა.**

„ქართული ოცნების“ საგანგებო განცხადება



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ „ქართული ოცნების“ უმრავლესობაში, ჩვენს გუნდში, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. არის მაჟორიტარ დეპუტატთა ჯგუფი, რომლებიც სრულად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შემოღებაზე მუშაობს, თუმცა უმრავლესობის დიდი ნაწილი ამ ინიციატივის წინააღმდეგია.

ყველას ესმის, რომ მსგავსი ტიპის აზრთა სხვადასხვაობის თუ დაპირისპირების გაღვივება საფრხის შემცველია როგორც გუნდის ერთიანობისთვის, ასევე ზოგადად, პოლიტიკური სტაბილურობისთვის, ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტული იყო, მაქსიმალურად სწრაფად მიგვეღწია გარკვეული კონსენსუსისთვის გუნდის შიგნით და ვფიქრობთ, რომ უმრავლესობის ბოლო სხდომაზე და მას შემდეგ სხვადასხვა ფორმატში კონსულტაციებით, — შეთანხმების მიღწევა შევძელით.

უმრავლესობის მხრიდან გაზიარებული იყო მაჟორიტარი დეპუტატების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 2020 წლის არჩევნებიდან 2024 წლამდე მუდმივად იქნება საუბარი, რომ უნდა გაიმართოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით, რაც მუდმივი არასტაბილურობის განცდას გააჩენს და ეს პროცესი შექმნის ნიადაგს და ცდუნებას პოლიტიკური კრიზისების ხელოვნურად გამოწვევისთვის. საუბარია 2020 წლის შემდეგ პერიოდზე.

ჩვენ, უმრავლესობის დიდი ნაწილი, მათი სხვა არგუმენტებისგან განსხვავებით, საბოლოოდ დავეთანხმეთ მაჟორიტარ დეპუტატებს რისკის ამ ნაწილში მხოლოდ და შევთანხმდით, რომ ისინი უკან გაიწვევენ თავიანთ წინადადებას 2024 წელს არჩევნების სრულად მაჟორიტარული სისტემით ჩატარების ინიციატავასთან დაკავშირებით, ჩვენ კი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ისეთი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნას მოვახერხებთ, რითაც ზემოთ დასახელებულ რისკებს მოვხსნით.

შესაბამისად ჩვენ, 2020 წლის არჩევნებამდე უნდა მოვახერხოთ, რომ მივიღოთ საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2024 წლამდე ნებისმიერი შესაძლო რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული სისტემით ჩატარდება და ასეთ პირობებში არჩეული პარლამენტის უფლებამოსილება გაგრძელდება მხოლოდ 2024 წლამდე. ამ შემთხვევაში, მაჟორიტარი დეპუტატები თავიანთ ინიციატივაზე უარს იტყვიან. თუ ჩვენ ამ გარანტიის შექმნას ვერ შევძლებთ, მაშინ მაჟორიტარები აგრძელებენ პროცესს, რომ 2020 წლის არჩევნებთან ერთად ჩატარდეს რეფერენდუმი სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით“.

პერსპექტივაში გაცილებით უკეთეს სასამართლოს ვხედავთ, ვიდრე ევროპულ ქვეყნებს გააჩნიათ!

„ქართული ოცნების“ დეპუტატი გია ვოლსკი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დამტკიცების თაობაზე საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებას ეხმიანება და აცხადებს, რომ სამომავლოდ საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაზე უკეთესი სასამართლო ექნება.

„დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა ისეთი მექანიზმი, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ ამ პროცედურის ჯანსაღად წარმართვისთვის. საერთაშორისო ექსპერტებს გამჭვირვალობასთან დაკავშირებით აქვთ გარკვეული პრეტენზია, ვფიქრობ, რომ იმ სტანდარტს , რომელსაც სასამართლო იმსახურებს საერთაშორისო რეიტინგებში კვლავაც გამოკვეთილი კონტურები ექნება. პერსპექტივაში მე გაცილებით უკეთეს სასამართლოს ვხედავ, ვიდრე ბევრ ევროპულ ქვეყანას გააჩნია“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

„ქართული ოცნების“ მიერ დაწინაურებული დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი, რომელმაც 2020 წლისთვის სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას მხარი არ დაუჭირა, მიიჩნევს, რომ აშშ-ის საელჩო განცხადებაში გამოთქვამს „სურვილს, რომ საქართველო ყველა მიმართულებით განვითარდეს“. **„აშშ-ის აქვს სურვილი, რომ საქართველოში განვითარდეს ყველა მიმართულება, მათ შორის ქართული მართლმსაჯულება. რაც შეეხება იმას, რა შედეგები გვაქვს უკვე სადღეისოდ, ეს არა მარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო კვლევებშიც ჩანს“,** — აცხადებს მაჭარაშვილი.

ცნობისთვის: საქართველოში აშშ-ის საელჩო წუხილს გამოთქვამს, რომ „პარლამენტმა უვადოდ განამწესა ის მოსამართლეებიც, რომლებმაც მიუკერძოებლობისადმი ერთგულება ვერ წარმოაჩინეს“.

შიშის სუნი

შეგახსენებთ, რომ ირაკლი კობახიძის ინფორმაციით, ოპოზიციის წარმომადგენელმა სხდომათა დარბაზში გაურკვეველი ნივთიერება შეიტანა და დაასხა, რის გამოც დეპუტატებმა დარბაზი დატოვეს.

პარლამენტი საპატრულო პოლიციის და ექიმების დახმარებით რამდენიმე ადამიანმა დატოვა, მათ შორის დეპუტატმა ენძელა მაჭავარიანმა და პარლამენტის ერთმა თანამშრომელმა. დაშავებულებს სუნთქვის პრობლემები აღენიშნებოდათ. ერთ-ერთ მათგანს საგანგებო სასუნთქი აპარატის გამოყენება დასჭირდა.

პარლამენტში დაყენებულ სუნზ**ე პასუხიმგებლობა მოძრაობა „სირცხვილიამ“ აიღო.**

ამის შესახებ მოძრაობამ საკუთარ Facebook გვერდზე დაწერა – სისტემა ყარს.

შსს-მ პარლამენტში მომხდარ ფაქტზე გამოძიება განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო.

„პარლამენტში მომხდარ შემთხვევაზე გამოძიება დაიწყო სსკ 117-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს“, – განაცხადეს შსს-ში.

როგორც მოძრაობა „სირცხვილიას“ ერთ-ერთი ლიდერი ნოდარ რუხაძე აცხადებს, ნივთიერება სრულიად უსაფრთხოა და მისივე განმარტებით, ამ ფორმით სურდათ უზენაეს სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატურების კენჭყისყრის პროცესი გაეპროტესტებინათ.

არადა როგორც ირაკლი კობახიძემ განაცხადა, სხდომათა დარბაზში ორი დეპუტატი შევიდა და დარბაზში გაურკვეველი ნივთიერება დაასხა. ამის გამო მან, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, სხდომაზე ტექნიკური შესვენება გამოაცხადა. დეპუტატების თქმით, დარბაზში სუნი მას შემდეგ დადგა, რაც იქ **ირმა ნადირაშვილი** და **ლელა ქებურია** გამოჩნდნენ.

ტელეკომპანია **„იმედმა“** და **„მაესტრომ“** კი გადაიღეს კადრები, სადაც ჩანს როგორ გადაადგილდებიან პარლამენტის სხდომათა დარბაზში **„ევროპული საქართველოს“** დეპუტატები **ირმა ნადირაშვილი** და **ლელა ქებურია**.

რაც შეეხება ამ ე.წ. **„სირცხვილიას“**, უბრალოდ, მინდა, ვიკითხო – ეს უაზრო და მართლა „სირცხვილია“ ორგანიზაცია რომელი ჰამასია, რომ ამ ვითომდა **„ვაჟკაცური“** განცხადებით, ტერორისტებს ბაძავენ?

რიდიარდ კიპლინგს თავის ნაწარმოებში **„ჯუნგლების წიგნი“** აქვს საკმაოდ საყურადღებო ფრაზა – **შიშის სუნი.**

სუნი, რომელსაც ყველა მტაცებელი გრძნობს და იქით მიიწევს, საიდანაც ეს სუნი მოდის.

საქართველოში დღეს **დაუცველობის სუნია.**

იმ მარაზმის სუნი, რაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში მყოფი პოლიციელის შეურაცხყოფის შემდეგ დგება, რაც ჯოჯოხეთის მოწყობისა და ამბოხის წინასწარი განცხადების შემდეგ დგება, რაც რუსთაველზე **„კალიკებით განგრეული როჟების ბუინის“** შემდეგ დგება, რაც ტელევიზიებიდან იმ **„ტიპების“ „ბლატაობის“** შემდეგ დგება, რომლებიც ბიუჯეტიდან უამრავი ფულის მოპარვის შემდეგ, ციხეში კი არა, პარლამენტში სხედან, და კიდევ უამრავი რამ, რაც მოსახლეობას ამ სუნში აცხოვრებს, ხოლო მტაცებლებს, კიდევ უფრო **„აბლატავებს“.**

არ დაგიმალავთ და **„მაგრად მკიდია“** პარლამენტის სხდომათა დარბაზში დეპუტატების შემაწუხებელი სუნი. ჩემთვის ყველაზე პრობლემური ის სუნია, რომელიც კანონის აღუსრულებლობის გამო, სამართლიანობის აღდგენის დამუხრუჭების გამო, მოძალადეთა თარეშის არა რაღაც დარბაზში (დიახ, სწორედაც რომ „რაღაც დარბაზში“), არამედ მთელ ქვეყანაში დგას.

საკმაოდ საყურადღებოა ჟურნალისტ ბონდო მძინარაშვილის განმარტება: **ძალიან მეგულისყურება, ამერიკელ კონგრესმენებს და ევროდეპუტატებს ნაცები როგორ აუხსნიან, რა გააკეთეს, რატომ მოასხეს პარლამენტის სხდომათა დარბაზში მყრალი სითხე? – ლელა ქებურიას და ირმა ნადირაშვილს დეპუტატის უფლებამოსილება უნდა შეუწყდეთ! საკაშვილის ჯიბის ტერორისტები არიან...**

„იმ ხსნარის დასხმაზე უფრო სამარცხვინოა ირმა ნადირაშვილის უტიფარი თავის მართლება, დამოუკიდებელი დეპუტატების აზრის გაგება მინდოდა და იმიტომ შევედი დარბაზშიო“, – წერს ბონდო მძინარაშვილი სოციალურ ქსელში.

არადა, ეს მართლა უტიფრები შეტევაზეც გადმოდიან – **„ევროპული საქართველოს“** წევრის, დეპუტატ ირმა ნადირაშვილის განცხადებით, ის პარლამენტის სხდომათა დარბაზში დაყენებულ სუნზე პასუხისმგებელი არ არის და ვინც მას ამას აბრალებს, მათგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს. **„პირდაპირ ვაცხადებ, რომ არ ვიღებ პასუხისმგებლობას პარლამენტში გავრცელებულ სუნზე, ნამდვილად არ ვიღებ“,** – თქვა ირმა ნადირშვილმა.

ირმა ნადირაშვილის განცხადებით, ის იყო როგორც იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, ასევე სხდომათა დარბაზში, რადგან **„ერთი საკითხის დაზუსტება“** უნდოდა, კერძოდ, მონაწილეობდნენ თუ არა დამოუკიდებელი დეპუტატები კენჭისყრაში.

ბრალდებას არც უარყოფს და არც ადასტურებს ლელა ქებურია.

„ამ ბრალდებაზე თავის მართლება არ არის ჩემი ვალდებულება“, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ლელა ქებურიამ „ტვ პირველის“ ეთერში განაცხადა.

„მე შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაში, მზად ვარ, გამოძიებას გავცე პასუხები, ხოლო ასე საჯაროდ, უაპელაციო განმარტებებს „ქართული ოცნებისა“, აბსოლუტურად არ ვარ ვალდებული ვუპასუხო. რაც შეეხება თვითონ პოლიტიკურ აქტს, აბსოლუტურად ვიზიარებ“, – განაცხადა ქებურიამ.

მისი თქმით, პარლამენტში მომხდარი შემთხვევა ერთგვარი წარმოდგენა იყო და დარბაზში სითხის დაღვრა იმის ალეგორია უნდა გამხდარიყო, რომ „სისტემა ყარს“.

ქალბატონო ლელა, როცა ამბობთ „პერფორმანსი“ იყოო, ვინმე არამზადამ ქუჩაში სათამაშო პისტოლეტით რომ შეგაშინოთ, შიშისგან გული ცუდად რომ გაგიხდეთ, სამედიცინო ჩარევა დაგჭირდეთ და იმ თავდამსხმელმა რომ თქვას „პერფორმანსი მოვაწყვე და არ უნდა დამსაჯოთო“, თქვენი პასუხი როგორი იქნება?

ეს წესით კოჰაბიტაციის თანაარსებობისა და ამ **„დედააფეთქებული“** პოლიტკორექტულობის დასრულებისთვის ბოლო წვეთი უნდა იყოს.

ბოლო წვეთი უნდა იყოს ის ფაქტი, რაც პარლამენტში, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხდა.

არადა, საზოგადოება ამ ნაძირალებს დავცინით, ვღადაობთ, ხანდახან ვიმუქრებით, მაგრამ მშრალი რეალობიდან გამომდინარე რომ შევხედოთ, საკმაოდ სერიოზული საფრთხის წინაშე დგას ქვეყნის მოსახლეობა.

აღქმა, არსებული სინამდვილის არასწორი აღქმა გახდა ჩვენი უმთავრესი პრობლემა. მაგალითისთვის მოვიყვან იმ აურზაურს, რაც სალომე ზურაბიშვილის არცთუ ისე გამართულად ნათქვამ ფრაზებს თან სდევს, არადა, ფრაზას სიზუსტე აკლია, კერძოდ, საიმისოდ არც...

პირდაპირ ვიტყვი, რომ სალომე ზურაბიშვილის სიტყვებზე **„სალდატსკი პრიჩინების“** ძებნას, იმ საკანონმდებლო ხარვეზების გასწორება სჯობს, რის გამოც ოღონდ ჯარში არ წავიდეს, ზოგი ელჭიპიტობას იბრალებს და ზოგი რაღაც გასაბერი **„ეკლესიების მრევლი“** ხდება.

იმ განათლების სისტემის შეცვლა სჯობს, რომლის დროსაც ბავშვებს ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ვაჟკაცობა უნდა ასწავლოს და არა – ვინ **„დააკუკა** თავზე თხუნელას. ცხოვრების იმ წესის პროპაგანდას მიეხედოს, რა წესითაც ტალახაძეები იზრდებიან და არა დასირებული **„თეთრად მოხმაურეები“.**

კიდევ ძაალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი და მგონი **„შპილკაობის“** დრო არ უნდა გვქონდეს.

ეს საქმე კი პირველ რიგში ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს. იმ ხელისუფლებამ, რომელიც ხალხის ნებით მოვიდა ქვეყნის სათავეში და ისევ ხალხის ნებით ინარჩუნებს თავის ადგილს.

უნდა გააკეთოს, თორემ 2020-მდე შორს ნამდვილად არ არის.

გია გაბრიჭიძე

გოგა ხაინდრავა: ეკა გიგაური და მისი დაწესებულება წამლავენ საზოგადოებას სიცრუით, სიყალბით, ცილისწამებით

გუშინ სააპელაციო სასამართლოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელის ეკა გიგაურის, გოგა ხაინდრავასა და გურამ ადამაშვილის საქმის განხილვა გაგრძელდა.

როგორც რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ აღნიშნა, მას აქვს დოკუმენტი, რომელიც ეკა გიგაურისთვის კაპიტნის წოდების ვადაზე ადრე მინიჭებას ადასტურებს.

ხაინდრავას განცხადებით, კაპიტნის წოდება გიგაურმა 7 ნოემბრის აქციის დარბევის გამო მიიღო, მისივე ხელმოწერით კი 7 ნოემბრის დარბევაში მონაწილე მესაზღვრეები პრემიით დაჯილდოვდნენ.

ამ განცხადებისთვის, გიგაური ხაინდრავას რეპუტაციის შელახვასა და ცილისწამებაში ადანაშაულებდა. თუმცა საქალაქო სასამართლომ, ცილისწამების ნიშნები გიგაურის სარჩელში ვერ დაინახა და შესაბამისად მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

„გადაწყვეტილება გამოტანილია დიდი ხანია. გიგაური არის სიცრუის მანქანის სახე. იგი ცილს სწამებს ამ საზოგადოებას, რაც ძალიან ვნებს ხალხს. ამის ნათელი მაგალითი, თუ რას წარმოადგენენ, გუშინ აჩვენეს პარლამენტში, როდესაც იქაურობა მოწამლეს. გიგაური და მისი დაწესებულება წამლავს საზოგადობას სიცრუით, სიყალბით, ცილისწამებით. თადუმაძეს ცილი დასწამეს, რომ მას არ აქვს დიპლომი. მე მხოლოდ იმიტომ დავდივარ სასამართლოებზე, რომ ქართველმა საზოგადოებამ ნახოს, რას წარმოადგენენ ისინი. გუშინ რაც მოხდა პარლამენტში, არის მათე სახე. ისინი წამლავენ ქართულ სახელმწიფოს და ქართველ საზოგადოებას. ყველგან, სადაც მომეცემა შესაძლებლობა, ვამხელ მათ ამაში. ამისთვის მინდა ეს სასამართლო. ადვოკატი ცრუობს და გიგაურიც ცრუობს მუდამ, მე არ მითქვამს, რომ გიგაური მონაწილეობდა 7 ნოემბრის აქციაში, მე ვთქვი, რომ მან დააჯილდოვა კაციჭამიები, ბოროტმოქმედები, რომლებმაც სისხლით ჩაახშეს ქართველი საზოგადოების ნება. მან დააჯილდოვა ისინი, მე ამის საბუთები წარვადგინე სასამართლოში და დადასტურებულია ყველანაირად. დანარჩენი არის ყველაფერი სიცრუე. ეს ქალბატონი, რომელიც ვექილს ეძახის თავის თავს, ტყუის ყველა გამოსვლაში.

მე არასდროს მითქვამს, რომ გიგაურმა მიიღო მონაწილეობა 7 ნოემბრის აქციის დარბევაში. მე ვთქვი, რომ დააჯილდოვა ის ადამიანები და ამაში მან ვანო მერაბიშვილისგან, ამ დამნაშავისგან და კაციჭამიისგან მიიღო ჯილდოდ რიგგარეშე წოდება. ეს დავადასტურე საბუთებით. ვერსად ვერ გაექცევა სიმართლეს ვერც გიგაური, ვერც მშვენიერაძე, ვერც ვერავინ დანარჩენი „ნაცმაცუნები“, – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დირექტორმა ეკა გიგაურმა რეჟისორ გოგა ხაინდრავასა და გურამ ადამაშვილს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის უჩივლა.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, საქმე ეხება 2014-2015 წლებში ხაინდრავასა და ადამაშვილის მიერ სატელევიზიო ეთერით გაკეთებულ განცხადებებს. მოპასუხეებმა ეკა გიგაური დაადანაშაულეს 2007 წლის ნოემბრის აქციების ძალისმიერი მეთოდით დაშლის წახალისებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან კუჭავამ ეკა გიგაურის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

მომავლის ეკონომიკა!

მაინც რა სარგებელს მიიღებს საქართველო სამხრეთის გაზის დერეფნის დიდი პროექტისგან?



როგორც ვიუწყებოდით, თურქეთში სამხრეთის გაზის დერეფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი — ტრანსანატოლიური მილსადენის პროექტი (ტანაპი) ამ რამდენიმე დღის წინათ ოფიციალურად გაიხსნა. ეს არის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს გავლით შაჰ-დენიზის საბადოებიდან ბუნებრივი აირის ექსპორტს ევროპაში, რაც საქართველოსთვის დამატებით სარგებელს მოიტანს. მისი სრულად ამოქმედების შემთხვევაში საქართველო, პრაქტიკულად, უზრუნველყოფილი იქნება უფასო და იაფი ბუნერივი აირით, რომელიც ქვეყანას ტრანზიტის საფასურად დარჩება.

დღესდღეობით საქართველო აზერბაიჯანიდან თურქეთში ტრანსპორტირებული გაზის 5%-ს განხორციელებული ტრანზიტისთვის წილის სახით იღებს, რაც წელიწადში 300 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს შეადგენს, 6 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტრანზიტის სანაცვლოდ. თუმცა, მომავალში, როდესაც სამხრეთის გაზის დერეფნის საშუალებით წლიურად 23 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტრანზიტი განხორციელდება, საქართველო წლიურად 1.1 მილიარდზე მეტ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს სატრანზიტო წილის სახით მიიღებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში **ბექა ლილუაშვილი** ამბობს, რომ პროექტი გულისხმობს ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრის უსაფრთხოების ზრდას და რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირების მიღწევას.

„სამხრეთის გაზის დერეფნის ძირითადი როლი არის ის, რომ აზერბაიჯანიდან გაზის გატარება მოხდეს საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიების გავლით ევროპაში. როგორც პოლიტიკური შინაარსი ამ პროექტის, ბუნებრივია, რომ ის სრულიად თანხვედრაშია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების — ევროკავშირის და აშშ-ის ინტერესებთან“, — განაცხადა ბექა ლილუაშვილმა.

იგი თურქეთში პროექტის გახსნის ღონისძიებას შეეხო, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ესწრებოდა და აღნიშნა, რომ პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა ნიშნავს იმას, რომ 2020 წლიდან სამხრეთ გაზის დერეფანი დაიწყებს დატვირთვას და იგი ეტაპობრივად გაიზრდება.

„ეს არის სამხრეთ გაზის დერეფნის თურქეთის მონაკვეთი, ანუ ის მილსადენი, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე გაივლის. რაც შეეხება საქართველოს როლს მთელ ამ პროცესში, ერთმნიშვნელოვანია, რომ მთელ ამ პროცესში შემოიფარგლება არა მხოლოდ გეოგრაფიული ან ინფრასტრუქტურული არეალით, ეს ფართოდ სცდება ამ ჩარჩოებს. საქართველოს აქვს ნაკისრი ეკონომიკური და პოლიტიკური ხიდის ფუნქცია და ეს არის ქვეყნისთვის დიდი პასუხისმგებლობა“, — განაცხადა ბექა ლილუაშვილმა.

ტანაპის ამოქმედებას დადებითად აფასებენ ეკონომიკური ექსპერტები, პროფესორი ვახტანგ ჭარაია პროექტის ამოქმედებით მიღებულ სიკეთეებზე საუბრობს.

„ტანაპის ამოქმედებით 2023 წლისთვის საქართველოს მიერ მიღებული უფასო ბუნებრივი აირის მოცემულობა დღევანდელთან შედარებით, პრაქტიკულად, ხუთმაგდება, მათ შორის მხოლოდ ტანაპის გზით საქართველო მიიღებს — 1.15 მილიარდ კუბურ მეტრს, დღევანდელი მოხმარების დაახლოებით ნახევარს. 2026 წლისთვის მაჩვენებელი 1.5 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება (31 მილიარდი კუბური მეტრი აირის გატარებისთვის); საბოლოოდ კი დაგეგმილია ტანაპის გამტარუნარიანობის 60 მილიარდ კუბურ მეტრამდე აყვანა, რაც საქართველოსთვის სამი მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის უსასყიდლოდ გადმოცემას გულისხმობს, საქართველოს დღევანდელ მოხმარებაზე — 1.4-ჯერ მეტს.

დღეისთვის საქართველო ტრანზიტის სანაცვლოდ დაახლოებით 300 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს იღებს უსასყიდლოდ, პლუს მონეტარული ფორმით სომხეთში გატარებული ტრანზიტის 10%-ის ეკვივალენტს (დაახლოებით 130 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ღირებულებას). 2018 წლის მონაცემებით, საქართველომ 2.2 მილიარდი მეტრ/კუბი ბუნებრივი აირი მოიხმარა, მათ შორის: საყოფაცხოვრებო დანიშნულების — 851 მილიონი; თბოელექტროსადგურებმა — 489 მილიონი; ავტოგასამართმა სადგურებმა — 229 მილიონი, დანარჩენი კი არასაყოფაცხოვრებო სექტორის წილია. რაც შეეხება მომწოდებლებს: 97% აზერბაიჯანზე მოდის (უსასყიდლო გაზის ჩათვლით), უმნიშვნელოა რუსეთის (1.7%) და ადგილობრივი მოპოვების წილი (0.4%)“, — აღნიშნავს ჭარაია.

ოფიციალური ინფორმაციით, ტანაპის ღირებულება 10 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. მილსადენი პირველ ეტაპზე წლიურად 16 მლრდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს გაატარებს. მომავალში დაგეგმილია გამტარუნარიანობის გაზრდა, 2023 წლისთვის — 23 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ხოლო 2026 წლამდე — 31 მილიარდ კუბურ მეტრამდე.

მილსადენის მშენებლობა, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოსა და თურქეთის გავლით გადის, 2015 წლის მარტში დაიწყო. მისი მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 2,700 მეტრია, ხოლო სიგრძე — 1804 კმ.

ბექა დანელია

ახალგორელებისთვის ბინების ჩამორთმევას აპირებენ

ახალგორში საქართველოს მოქალაქეებისთვის მათ მიერ იძულებით დატოვებული ბინების ჩამორთმევას და სხვებისთვის გადაცემას აპირებენ. ამის შესახებ ახალგორის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვიტალი მამიტოვმა ცხინვალში გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა. პრესკონფერენციის დეტალები დე ფაქტო სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „რესმა“ გაავრცელა. მამიტოვის თქმით, საქმე ეხება 3 საცხოვრებელ კორპუსს, რომლებშიც 60-მდე ბინაა. ის ამტკიცებს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, „იურისდიქციის ცვლილების“ შედეგად, იქ მცხოვრებლებმა „საქართველოში გადასვლა გადაწყვიტეს“ და სახლები უფუნქციოა.

საუბარია იმ მოქალაქეებზე, რომლებიც ომის შემდეგ ახალგორიდან წეროვნის დასახლებაში იძულებით გადაადგილებულ პირებად წავიდნენ. დაკეტილ ბინებს დე ფაქტო ხელისუფლებამ, დიდი ხანია, თვალი დაადგა. მამიტოვი აცხადებს, რომ დაბაში არაერთი ადამიანი საჭიროებს ბინით დაკმაყოფილებას ან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვების შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ ეს დაკეტილი ბინები მათ გადასცენ. ახალგორში საცხოვრებელი კორპუსები საბჭოთა პერიოდში აშენდა. დე ფაქტო ხელისუფლება ამ კორპუსებს სახელმწიფო საკუთრებად მიიჩნევს, თუმცა ბინები 2008 წლის ომამდე, ვიდრე ახალგორში საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა, მოქალაქეებს საკუთრებაში გადაეცათ. ახალგორის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ეს არის კერძო საკუთრების ხელყოფის მცდელობა და ადგილობრივი ქართული მოსახლეობის იძულება, რომ ოკუპირებული ახალგორი დატოვონ. ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი ამბობს, რომ მამიტოვის წინამორბედებსაც ჰქონდათ განზრახვა, ჩამოერთმიათ ბინები დაბიდან წასული მოქალაქეებისთვის და იქ სხვები შეესახლებინათ, თუმცა ეს განზრახვა ყოველთვის განუხორციელებელი რჩებოდა. მეარაყიშვილის თქმით, დაბაში საშიში პროცესები მაინც მიმდინარეობს, რადგან იქ მეზობელი ოსური სოფლებიდან მოქალაქეები მუდმივად ჩამოჰყავთ, ასაქმებენ და მათ ბინების მიღების სურვილიც უჩნდებათ. მეარაყიშვილის აზრით, ეს შეგნებულად კეთდება, რათა ქართველი მოსახლეობა მაქსიმალურად შეავიწროონ და მათი ადგილი სოფლებიდან ჩაყვანილმა ეთნიკურმა ოსებმა დაიკავონ.

თამარ მეარაყიშვილის თქმით, რაიონი კორუფციაშია ჩაფლული და მამიტოვი ცდილობს, ეს თემა ბინების ჩამორთმევისა და სხვებისთვის გადანაწილების თემით გადაფაროს. სამოქალაქო აქტივისტის აზრით, დაბაში ხელოვნურად იქმნება აუტანელი პირობები, რაც თანაბრად აწუხებთ ოსებსა და ქართველებს.

გოგა აფციაური

ქართველებო, არ მიატოვოთ სამშობლო!

იმ მიგრანტებს ენიჭებათ უპირატესობა, რომლებიც ქრისტიანები არიან და ენები იციან

მედალს აქვს მეორე მხარეც და შეიძლება, სხვაგვარად შევხედოთ ცირკულარული მიგრაციის შესახებ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივას. კერძოდ, სახელმწიფო პირდაპირ გვეუბნება, დასაქმების მცდარ პერსპექტივას ვერ შეგიქმნით, ვერ გაგიხსნით წარმოებას, ვერ მოგატყუებთ, ამიტომ თავს უშველეთ...



FOR.GE დაინტერესებულია, რას ფიქრობს ცირკულარული მიგრაციის შესახებ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დემოგრაფი **ანზორ თოთაძე**.

— ცირკულარული მიგრაციის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. ხელისუფლება ცდილობს, დადებითად წარმოაჩინოს ცირკულარული მიგრაცია, მაგრამ, როგორც არ უნდა შევალამაზოთ ეს თემა, მიგრაცია მაინც მიგრაციად რჩება და პატრიარქის შეფასებაც არ აყოვნებს: „სოფლის და ქალაქის მოსახლეობა მიდის საზღვარგარეთ და იქ ემსახურება მოხუცებს, ეს ცუდი არ არის, მაგრამ რაღა იქ მიდიხართ, აქ უნდა მიხედოთ თქვენს მამულს, მიწას, ხელიდან გვეცლება მიწები, ჩამოდიან უცხოელები და ყიდულობენ სახლებს, სახლდებიან ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში“...

— ცირკულარული მიგრაციის შესახებ მაინცდამაინც კარგი შეხედულების არ ვარ. ფართო მიგრაციის მომხრე არ გახლავართ, რადგან, როცა უცხოეთში წავლენ სამუშაოდ ან სასწავლებლად, ბევრი იქვე დარჩება. ასე ხელაღებით არ უნდა გავგზავნოთ ჩვენი მოქალაქეები. თუმცა მცირე მასშტაბით აუცილებელია ისეთი ადამიანების გაგზავნა უცხოეთში, რომელთა გამოცდილებაც, პროფესიონალიზმიც ისევ ჩვენს ქვეყანას მოხმარდება. არის ისეთი პროფესიები, რომლებიც აქ არ ისწავლება, თანამედროვე ტექნიკა სულ სხვა პროფესიონალიზმს მოითხოვს. ასეთები თუ მცირე ხნით წავლენ საქართველოდან და ისევ დაბრუნდებიან, ძალიან კარგი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

— ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ ცირკულარული მიგრაცია ქართველი მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებას გამოიწვევს. საფრანგეთში შეიძლება წელიწადში 500 ადამიანი დასაქმდეს საქართველოდან, მაგრამ არის ქვეყნები, სადაც არ არსებობს რაოდენობრივი შეზღუდვა. რამდენად საფრთხილოა ჩვენთვის ისეთი ქვეყნები, სადაც ადამიანებს ულიმიტოდ ჩასვლა შეეძლებათ? ასე ხომ შეიძლება, უცხოეთში მთელი ჩვენი ერი გადაბარგდეს?

— რა თქმა უნდა, რაოდენობრივი შეზღუდვა სადაც არ არის, ის ძალიან საფრთხილოა. საფრანგეთში 500-ია ჩვენი მოქალაქეებისთვის დაწესებული კვოტა, მაგრამ 30 ქვეყანა მაინც არის დასავლეთში და, რომ ვიანგარიშოთ, 30-ჯერ 500 უკვე 15 ათასია. ამდენი ადამიანი რომ წავიდეს საქართველოდან, ეს ძალიან დიდი ციფრია. მითუმეტეს, თუკი მიგრანტებზე შეზღუდვა არ არსებობს, ეს ციფრი ბევრად მეტი იქნება. მე-19 საუკუნეში ჩვენი დიდი მოღვაწეებიც მიდიოდნენ უცხოეთში. თუკი ქართველი ცოტა ფულს იშოვიდა, ყოველთვის ცდილობდა, შვილისთვის განათლება მიეცა უცხოეთში, რადგან შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების საშუალება საქართველოში არ იყო, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მაშინ ვინც მიდიოდა სასწავლებლად, ყველა ბრუნდებოდა უკან. თანაც, ბრუნდებოდნენ ძალიან დიდი ცოდნით აღჭურვილნი და შემდეგ უკვე, როცა მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა გახდა საჭირო, ჩვენ უკვე გვყავდა უცხოეთში განათლებამიღებული ხალხი, რამაც უნივერსიტეტის გახსნის საშუალება მოგვცა. ეს ძალიან კარგი იყო, მაგრამ დღეს, როდესაც ბევრი ადამიანი მიდის საქართველოდან, ძალიან ცოტა მათგანი თუ დაბრუნდება. ეს აღარ არის მე-19 საუკუნე, როცა ეროვნული გრძნობა ძალიან მაღალი იყო და განათლების მიღება მხოლოდ სამშობლოს სასარგებლოდ უნდოდათ. აქედან წასულები ფაქტობრივად უცხოეთში დარჩებიან. როგორც წესი, საზღვარგარეთ მიდის ის ადამიანი, ვისაც შეუძლია ცხოვრებას ებრძოლოს, ვისაც თავის გატანის უნარი აქვს, ვინც უფრო მეტად განათლებულია. ამით ჩვენ ვკარგავთ აქტიური მოსახლეობის ნაწილს.

— არსებობს ჩამონათვალი, რომ უცხოეთში სჭირდებათ კვალიფიციური მუშაკები სარესტორნო, სასტუმრო საქმიანობისთვის, ასევე, მოთხოვნადია მშენებელი, ქვის სპეციალისტი, შემდუღებელი, ელექტრომექანიკოსი. როდესაც გადამზადებაზე ლაპარაკობს ბიძინა ივანიშვილი, ზუსტად ამ სფეროში უნდა გადაამზადონ ადამიანები თუ უცხო ენის შესწავლაში?

— რომელი სპეციალობებიც თქვენ ჩამოთვალეთ, მათ შორის, მიმტანი და სხვა, ამას დიდი გადამზადება არ სჭირდება. თანამედროვე ადამიანი, რომელსაც შეუძლია მოძრაობა, ამას ძალიან მალე შეისწავლის. რამდენიმე წლის წინათ მიაჩნდათ, რომ იმდენად გაიზრდებოდა, ამაღლდებოდა შრომის წარმოება, რომ უცხოელებს აღარ დასჭირდებოდათ სხვა ქვეყნებიდან ხალხის მიწვევა, მაგრამ ასე არ მოხდა. დღეს ისეთი მაღალი დონეა დასავლეთ ევროპაში, რომ ბევრ ადგილობრივს არც უნდა მუშაობა მიმტანად, ქუჩის დამსუფთავებლად, მრეცხავად. ამიტომ მათ ინტერესშია, იმ მიგრანტებს მიანიჭონ უპირატესობა, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნოების არიან, რომლებმაც იციან ენები. ზუსტად ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ ქართველები. ასევე ხდებოდა რუსეთშიც, როდესაც ჩვენი მოქალაქეები რუსეთში მიდიოდნენ, რუსებმა ფართოდ გაუღეს კარი არა მარტო საქართველოდან და კავკასიიდან, არამედ შუა აზიიდან ჩასულ მიგრანტებსაც, რადგან ენობრივი ბარიერი აღარ იყო, რუსულ კულტურას ნაზიარები იყო ჩვენი ხალხი. ახლა კი ჩვენი მოქალაქეები დასავლურ კულტურას არიან ნაზიარებნი, ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდობამ იცის დასავლური კულტურა, მწერლობა. ბუნებრივია, ევროპელებსაც ასეთი მიგრანტების მიღება სურთ და არა სრულიად უცხო და სულ სხვა წეს-ჩვეულების ხალხის. თუმცა აქ კითხვა ჩნდება, ადამიანების გადამზადება რისთვის გვინდა? რომ ჩვენი ახალგაზრდები უცხოეთში დარჩნენ?

— როდესაც სახელმწიფო ვერ ასაქმებს მოსახლეობას, ხომ არ ჯობს, პირდაპირ უთხრას ხალხს ამის შესახებ?

— რას ჰქვია, ვერ ასაქმებს, სახელმწიფო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ დასაქმდეს ადამიანი, ჩვენც უნდა მივხედოთ ამ პრობლემას. ერთმა კაცმა მითხრა, ახლა სოფლად ხუთჯერ მეტი მიწა აქვთ, ვიდრე წინათ ჰქონდათ, ბარი და თოხიც ყველას აქვს, მაგრამ ადრე საკარმიდამო ნაკვეთებში იმდენი მოსავალი მოჰყავდათ, მთელი წლის განმავლობაში ჰყოფნიდათ, გერმანიასთან ომის დროს მშიერი არავინ მომკვდარა. ახლა კი არავის სურს სოფლად გაჩერება, ერთი რომ წამოვიდა, იმას მეორე მოჰყვა.

— სახელმწიფო თუკი ვერ ასაქმებს მოსახლეობას, მაშინ ჩვენი ხსნა საზღვარგარეთ წასვლაშია?

— სოფლად ჩვენ ვერ დავასაქმებთ ხალხს ისე, როგორც ადრე იყვნენ დასაქმებულები. ადრე სკოლებიც იყო, ახლა ამდენი სკოლა აღარ არის საჭირო. თუ წინათ ყოველწლიურად საქართველოში 90-100 ათასი ბავშვი იბადებოდა, ახლა იბადება 50 ათასი ბავშვი, ბუნებრივია, 50 ათასით შემცირდა სასკოლო კონტინგენტიც და ამდენი სკოლაც უკვე აღარ არის საჭირო. დღეს სოფლის სკოლები ცარიელია, სოფლები თითქმის დაიცალა და აღარ დადიან ბავშვები სკოლებში.

— როგორ შეაფასებთ პატრიარქის ინიციატივას სოფლის სამღვდელოების მიმართ, იყოლიონ შინაური ცხოველები?

— ეს ძალიან კარგი იდეაა, ასე შრომობენ დასავლეთშიც. ხომ არ გგონიათ, უცხოეთში უსაქმურად არიან? ამას წინათ გერმანიაში გახლდით, საკურორტო ქალაქ აიზენახში, იქ მაჩვენეს, როგორ ზრუნავდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. სახლის წინ ეზო ჰქონდათ, როგორც ჩვენთან, საქართველოში, სახლის უკან კი ნაკელის შესაგროვებელი ადგილი და სხვა, მუშაობენ და ჰყავთ საქონელი. რაც შეეხება ჩვენს სოფლის სამღვდელოებას, მათ შეუძლიათ, იყოლიოს საქონელი და ამით დიდი მაგალითი მისცენ სოფელს. თანდათანობით ფერმებზე გადავლენ და სულ სხვა სახეს მიიღებს წარმოება, ერთი ძროხა კი არა, შეიძლება ჰყავდეთ 100-200 ძროხა. სხვათა შორის, იმერეთიდან ვარ და იმერეთის მაგალითზე გეტყვით, ვისაც 2-3 ძროხა ჰყავს, ის შესანიშნავად ცხოვრობს. იმერულ ოჯახს ერთი ძროხა აბსოლუტურად ჰყოფნის რძის ნაწარმზე თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხოლო მეორე და მესამე ძროხის პროდუქტებს, მათ შორის, ყველს ყიდიან. ყველას რომ ჰყავდეს ძროხა და სხვა საქონელიც, ქალაქი და სოფელი ამოისუნთქავდა. მითუმეტეს, ყველის ფასი თანდათანობით უახლოვდება ხორცის ფასს. ეს ძალიან დიდი შემოსავალია. შრომის გარეშე ადამიანი ვერ იარსებებს. თუ შრომა აღარ მოგვინდა, ყველა თბილისში ჩამოვიდა, ასე ერი ვერ იარსებებს. დღეს რომ სოფელი დაცარიელდეს, ჩვენისთანა პატარა ერისთვის დაღუპვა იქნება. სხვა რომ არაფერი, ქართული ენა უკვე გაღარიბდა, რადგან მიტოვებულ სოფლებში აღარ იქმნება ძარღვიანი ქართული სიტყვები და ეს სიტყვები აღარ მოდის სოფლიდან.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

თეიმურაზ გამცემლიძე: ბაკურიანში ყველა სისტემა და საბაგირო მწყობრშია

ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განსახილველად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მარიამ ქვრივიშვილმა, მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელმა თეიმურაზ გამცემლიძემ, შინაგან საქმეთა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ადგილობრივი მერიის წარმომადგენლებმა ბაკურიანში საკოორდინაციო შეხვედრა გამართეს და აქვე არსებულ ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას გაეცნენ.

სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებმა ადგილზე შეამოწმეს საბაგიროები, საპარკინგე ადგილები და სველი წერტილები. ტურისტული ნაკადის ზრდის ფონზე, კურორტზე პარკინგის რამდენიმე ზონის მოწყობა იგეგმება. უწყებების წარმომადგენლებმა დიდველსა და კოხტას საბაგიროს მიმდებარე ტერიტორიები დაათვალიერეს.

პოლონეთმა სასწავლო აღჭურვილობა გადმოგვცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, სამოქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით სწავლების განვითარების მიზნით, პოლონეთისგან სასწავლო აღჭურვილობა გადაეცა. პოლონეთის ელჩმა საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვლადიმერ ბორცვაძეს აღჭურვილობის ჩუქების სერტიფიკატი საზეიმო ვითარებაში გადასცა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ პოლონურ მხარეს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

„დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ჩვენს პოლონელ პარტნიორებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შეტანილი წვლილისთვის. თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს ახალი სასწავლო პროგრამების განხორციელებას და დაეხმარება ჩვენს მეხანძრე-მაშველებს კვალიფიკაციის ამაღლებაში“, — განაცხადა ვლადიმერ ბორცვაძემ.

რატომ „უყვარს“ კრემლს აფრიკელები?

რა ღირს მზა მადაგასკარიდან ცხინვალამდე და უკან

რუსეთმა აფრიკის ქვეყნებს 21 მილიარდი დოლარის ოდენობის ვალი ჩამოაწერა. ამის შესახებ ფორუმზე „რუსეთი-აფრიკა“ პრეზიდენტმა პუტინმა დიდი ზარ-ზეიმით განაცხადა. და ეს სულაც არ არის ერთეული შემთხვევა იმისა, რომ კრემლი აფრიკის, აზიის ქვეყნებს თუ ლათინურ ამერიკას ვალებს პატიობს. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, 2000 წლიდან დღემდე 140 მილიარდი დოლარის ოდენობის საგარეო ვალის ჩამოწერა მოხდა.

„ცივი ომის“ წლებში, საბჭოთა კავშირი მეგობრულ რეჟიმებს ხელგაშლილად აფინანსებდა; აფრიკულ ქვეყნებს აძლევდნენ იარაღს, სამხედრო ტექნიკას, აღჭურვილობას. საბჭოთა სპეციალისტები ათწლეულების განმავლობაში ასწავლიდნენ სამხედრო და სამოქალაქო სექტორში. სამაგიეროდ, კრემლი იღებდა პოლიტიკურ ლოიალობას, იყენებდა აფრიკულ პორტებს და აეროდრომებს და სხვა. იმ პერიოდში დაგროვილი ვალების ჩამოწერა მოსკოვმა ჯერ კიდევ 90-იანებში დაიწყო, მაგრამ აბსოლუტურ მაქსიმუმს ამ პროცესმა პუტინის პრეზიდენტობის წლებში მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში რუსეთი საერთაშორისო არენაზე კვლავ გააქტიურდა და ისევ დაიწყო აზიური თუ აფრიკული სახელმწიფოების „ათვისება“, რადგან „პლანეტა სახელად დედამიწა ხომ ვერ განვითარდება, თუ კი რუსეთი თავის საცეცებს ყველგან არ გაშლის“.

აფრიკელი ლიდერები და მათი მეუღლეები, ცოტა ხნის წინათ გამართულ პომპეზურ რუსულ სამიტს დაესწრნენ და კეთილი რუსი ბიძია პუტინის სადიდებელი აღავლინეს. კრემლის ექსპერტებმა და მედიამ ერთხმად დაცხეს „სიმღერა“ იმაზე, რომ ვალების ჩამოწერა საოცრად სწორი გადაწყვეტილებაა. რუსეთი ხომ ძალიან მდიდარია, მის მოქალაქეებს შესაშური სოციალური მდგომარეობა აქვთ და ზედმეტი ფული სახელმწიფოს რაში სჭირდება. აფრიკაში კი ისეთი გაჭირვებული ხალხი ცხოვრობს, ისეთი გაჭირვებული...

თუმცა, აქა-იქ გაჩნდა დამოუკიდებელი ექსპერტების მოსაზრებები, რომლებმაც კრემლის „ვალების ჩამოწერის“ პოლიტიკის უკან სულ სხვა მიზნები დაინახეს. ისიც დაიწუწუნეს, რომ ეს თანხა, ჯანდაცვის სექტორში რუსეთის ფედერაციის რეგიონალურ წლიურ დანახარჯს უტოლდება. რუსეთის „გლუბინკაში“ ზღვარგადასული სიღატაკეა, სოციალური უთანასწორობა, ხალხი მიწურებში ცხოვრობს, 20 ათასი სოფელი უკვე „მკვდარია“; პუტინმა კი ვალები არა საკუთარ მოქალაქეებს, არამედ ნავთობმომპოვებელ სახელმწიფოებს ჩამოაწერა, ასევე, თავის დროზე კადაფისაც, რომელსაც სასახლეში ტონობით ოქრო ჰქონდა...

აბა, მაშ, რა იმალება ასეთი ხელგაშლილობის უკან? ნუთუ, შეიძლება რუსეთის ხელისუფლება ისეთი კეთილი იყოს მოზამბიკის, ანგოლას ან განას მიმართ, რომ რამდენიმემილიარდიანი ვალი „ლამაზი თვალების“ გამო ჩამოაწეროს? რატომ გაითამაშეს „ივანუშკა დურაჩოკი“? ნუთუ, 21 მილიარდი დოლარის არდაბრუნების უკან რაიმე უფრო მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი დგას?

სინამდვილეში რატომ ეხმარება კრემლი აფრიკელებს?

„ЭХО МОСКВЫ“-ს ეთერში გაიდარის სახელობის ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის ექსპერტი, ეკონომისტი სერგეი ჟავორონკოვი ამბობს, რომ რეალურად ხდება ვალის „ნატურით“ ამოღება , რადგან ვლადიმერ პუტინმა ვალები ძირითადად იარაღის მიწოდების სანაცვლოდ ჩამოწერა. მაგალითად, მოზამბიკს რუსეთის 4,7 მილიარდი მართებდა და ახლა ამ თანხის ფასად აფრიკელები იყიდიან მის იარაღს. ასევე, პოლიტიკურ კონტექსტში, მადლიერი აფრიკის ქვეყნები საჭირო დროს, საჭირო ადგილას, რუსეთს მხარს დაუჭერენ.

ეკონომისტი ნატალია ზუბარევიჩი ამბობს, რომ რუსეთი აფრიკის ქვეყნებთან 14 მილიარდი დოლარის ოდენობის კონტრაქტების დადებას კვლავ აპირებს. ძირითადად, საუბარია სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებზე, ანუ იარაღის მასშტაბურ მიწოდებაზე. ამას გარდა, კიდევ უფრო დიდი პოტენციალი ეხსნება რუსული ბიზნესის „ზვიგენებს“, რომლებსაც მადა სულ უფრო მეტად ეხსნებათ. თანაც, ხომ ყველას კარგად მოეხსენება, როგორ არის რუსული ბიზნესი გადაკვანძული კრემლთან. აქამდე, მაგალითად, ანგოლაში რუსული „ალროსა“ ალმასების

მოპოვებაზე უკვე მუშაობდა, ახლა კიდევ უფრო დიდ განვითარებას მიაღწევს; „ლუკოილს“ აქვს პროექტები განაში, კამერუნსა და ნიგერიაში; ტანზანიაში „როსატომი“ ურანის მოპოვებას ცდილობს; სამხრეთ აფრიკაში ბირთვული სადგურის აშენებაზე მილიონები დაიხარჯა, თუმცა აქამდე რაღაც ვერ მოაკვარახჭინეს. ზიმბაბვეში რუსი ბიზნესმენები პლატინის მოპოვებას ცდილობენ; ეგვიპტეს კი დამატებით, ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობაზე 25-მილიარდიანი კრედიტი მისცეს, რომლის პირველი გადახდა 2029 წელს უნდა დაიწყოს; სუდანის სანაპიროზე სამხედრო ბაზით სარგებლობის იმედიც აქვთ... აბა, რა ქნან საწყალმა რუსმა ბიზნესმენებმა, რომლებსაც დასავლეთმა სანქციები დაადო, სად იშოვონ ფული?

ისიც არაა საიდუმლო, რომ ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში რამდენიმე წელია, დაძრწიან „კერძო“ რუსული სამხედრო შენაერთები, რომლებიც ხან სად გამოძვრებიან ხოლმე, ხან სად...საქვეყნოდ გამოიჩინეს თავი სამხედრო დაჯგუფება „ვაგნერის“ წევრებმა, რომელთა უკანაც, მსოფლიო და დამოუკიდებელი რუსული მედიის ინფორმაციით, პუტინის „მზარეულის“ პრიგოჟინის კვალი იკვეთება. 2018 წელს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში „ვაგნერზე“ ჟურნალისტური გამოძიების ჩასატარებლად, 3 რუსი ჟურნალისტი ჩავიდა, თუმცა ვერაფერი გამოიძიეს. იმიტომ კი არა, რომ ინფორმაცია ვერ მოიპოვეს, არამედ იმიტომ რომ რამდენიმე დღეში, გაურკვეველ ვითარებაში სამივე მოკლეს. ამ საქმეს დღემდე „იძიებენ“;

კრემლს და მის „მზარეულებს“ აფრიკული სამზარეულო ძალიან რომ მოეწონათ და მადაც რომ გაეხსნათ, ამაზე მადაგასკარზე 2018 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობაც ცხადყოფს. აბა, ისე რა უნდოდათ ასე შორს — მადაგასკარზე ჩასულ უბრალო რუს „ტურისტებს“, რომლებმაც ამ ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატებს ჩემოდნებით ფული დაურიგეს. ეს იმისთვის გააკეთეს, რომ დანარჩენ კანდიდატებს, ერთი შერჩეული კანდიდატისთვის ბოლო ტურში ადგილი დაეთმოთ, ხოლო მომავალი პრეზიდენტი ამ „услуга“-ს სანაცვლოდ რუსეთის მიმართ ლოიალობას გამოიჩენდა. „ბიბისი“-ს გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ რუსმა, ვითომდა, ტურისტებმა და სინამდვილეში პოლიტტექნოლოგებმა მინიმუმ 6 კანდიდატს გადაუხადეს ფული. პარალელურად, რუსმა ბიზნესმენებმა უკვე ჩაიგდეს ხელში მადაგასკარზე არსებული რამდენიმე დიდი კარიერი.

მარტო მადაგასკარი კი არ არის რუსი „პოლიტტექნოლოგების“ საყვარელი კუნძული. აი, მაგალითად, ახლახან „ფეისბუქის“ ადმინისტრაციამ დაბლოკა 200 ანგარიში — გვერდი და ჯგუფი, რომლებიც რუსეთიდან იმართებოდა და აფრიკის 8 ქვეყანაში მოქმედებდა. ამ გვერდების და ანგარიშების ჯამური აუდიტორია 1 მილიონზე მეტი იყო. „ფეისბუქის“ კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეს ანგარიშები სამ ქსელში იყო გაერთიანებული და მადაგასკარის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, კონგოს, მოზამბიკის, კამერუნის, სუდანის და ლიბიის საშინაო პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევის მიზნით გამოიყენებოდა. ეს რუსული ქსელები ამ ქვეყნებში ადგილობრივ მოქალაქეებთან თანამშრომლობდნენ, რათა უფრო უკეთ დაეფარათ თავიანთი მავნებლური საქმიანობა. მოდით, გამოვიცნოთ ვისთან არის ეს 200 ანგარიში დაკავშირებული? „ფეისბუქში“ თვლიან, რომ ისევ და ისევ რუს ბიზნესმენ ევგენი პრიგოჟინთან.

მოსკოვი თავისი „ხელის“ ბიზნესმენებს ასეთ ქვეყნებში დიდ ასპარეზს კი უხსნის, თუმცა, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პოლიტიკური ლობის გაძლიერებაც. აბა, ისე მორიგი ნაურუ თუ ნიკარაგუა „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკას“ რატომ აღიარებს, ან რომელიმე საერთაშორისო ინსტანციაში მხარს რუსეთის გადაწყვეტილებას რატომ დაუჭერს? იგივე რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიც ხომ ამ „კეთილი ხელის“ მიერ მოწოდებული ფულით იკვებებიან? შესაბამისად, იმას აკეთებენ, რასაც მთავარი გამომკვებავი უბრძანებს და დაავალებს... ამიტომაც, ეს აფრიკული ეპოპეა ყურადსაღებია საქართველოსთვისაც...

8 წლის განმავლობაში, რუსეთმა ოკუპირებულ აფხაზეთს თითქმის 37 მილიარდი რუბლი (616 მილიონი დოლარი) გამოუყო. 2009 წლიდან, სეპარატისტული აფხაზეთის ბიუჯეტის 50%-ზე მეტი რუსულ დოტაციაზეა დამოკიდებული. კრემლის ფული იქ მუდამ დარღვევებით იხარჯება, ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, რუსებმა სოხუმში ფასადური კონტროლის პალატა შექმნეს. შარშანდელი შემოწმებით, გამოყოფილი ფინანსების არამიზნობრივმა ხარჯვამ 270 მილიონ რუბლს გადააჭარბა, თუმცა არავინ დასჯილა. სეპარატისტულმა ცხინვალმა კი, რომელიც ასევე დოტაციაზე ჰყავს კრემლს, 2009-2016 წლებში 52, 45 მილიარდი რუბლი მიიღო. თუმცა, ოკუპირებულ რეგიონს განვითარების არაფერი ეტყობა. ამის მიუხედავად, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება მაინც ძალიან ბედნიერია...შესაძლოა, უფრო მეტადაც, ვიდრე აფრიკელები, რადგან ვლადიმერ პუტინის დაბადების დღეზე, ცხინვალის მთავარ ქუჩას მისი სახელი მიანიჭეს.

ქეთევან სილაგაძე

კობა გვენეტაძე: რის გამო მიიღო საქართველომ 300 მილიონით ნაკლები ტურისტული შემოსავალი

ჩვენი შეფასებით, ავიასანქციების გამო ქვეყანამ 300 მილიონით ნაკლები ტურისტული შემოსავალი მიიღო. ამას დაემატა პოლიტიკური დაძაბულობა, რამაც კურსის დამატებით გაუფასურებას შეუწყო ხელი, — ამის შესახებ განაცხადა კობა გვენეტაძემ. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენილების პროექტზე საუბრისას გვენეტაძემ ინფლაციაზე მოქმედი ფაქტორები მიმოიხილა.

„მიმდინარე წლის მარტიდან წლიური ინფლაცია მიზნობრივ სამ პროცენტზე მაღალი იყო და ნოემბერში შვიდი პროცენტი შეადგინა. წლის დასაწყისში ინფლაციაზე ერთჯერადი ფაქტორების გავლენას ჰქონდა ადგილი — აქციზის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა თამბაქოს ნაწარმის ფასები, ასევე, მომატებულია ფასები სურსათზე, რაც ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკაზე ნაკლებადაა დამოკიდებული. ასეთი ტიპის ფაქტორებზე ცენტრალური ბანკები, როგორც წესი, არ რეაგირებენ, ვინაიდან მათი განეიტრალება მონეტარული ინსტრუმენტებით თითქმის შეუძლებელია. სექტემბრიდან ინფლაციის ზრდა დაჩქარდა, რაც მნიშვნელოვანწილად ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებამ და გაუფასურებული ნიშნულის დიდხანს შენარჩუნებამ გამოიწვია. როგორც მოგეხსენებათ, ივლისში რუსეთის მიერ ავიაფრენების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებამ და სხვა შესაძლო ფორმალური თუ არაფორმალური სავაჭრო სანქციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი გააჩინა. შესაბამისად, სავალუტო შემოდინებების ფაქტობრივ შემცირებამდეც, ბაზარზე შემცირდა უცხოური ვალუტის მიწოდება, ხოლო მოთხოვნა გაიზარდა, რამაც კურსის მყისიერი გაუფასურება გამოიწვია — უფრო ადრე, ვიდრე ტურისტული შემოსავლები ფაქტობრივად დაიწყებდა შემცირებას“, — აღნიშნა გვენეტაძემ.

საგულისყურო ამბები აგატა ქრისტის ცხოვრებიდან

5. თავდაპირველად აგატას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ წიგნები გამოეცა მარტინ უესტის, ანდა მარტინ გრეის თიკუნით, რადგან დეტექტივის ავტორის ქალურ გვარ-სახელს ვაითუ წინასწარ ცუდი აზრი შეექმნა მკითხველისთვის, მაგრამ მოგვიანებით გადაწყვიტა, რომ თავისი პირველი ქმრის გვარ-სახელით გასცნობოდა მკითხველს.

6. პირველი წიგნი აგატა ქრისტიმ თავის ლიტერატორ დასთან კამათის შედეგად დაწერა. დას ეგონა, აგატა ჩემზე უფრო საგულისყურო და ღირებულ რასმეს ვერ დაწერსო. ქრისტიმ გადაწყვიტა, დისთვის ეჯობნა და დაწერა „იდუმალი შემთხვევა სტაილზში“.

7. ბრიტანეთის ტელეკომპანია ბიბისის (ბრითიშ ბრიდ კასტინგ კორპორეიშენ) კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში 1955 წელს აგატა ქრისტიმ აღიარა, რომ მეგობართა შორის ან ოჯახურ წრეში ყოფნისას უყვარდა ქსოვა, მაგრამ ქსოვის დროს ჩემი ფიქრი ახალი სიუჟეტის დამუშავებას დასტრიალებდაო. იმ დროისთვის, როცა „დეტექტივის დედოფალი“ ახალი რომანის წერას დაეპირებოდა, სიუჟეტი უკვე მზად იყო, თავიდან ბოლომდე. ახალი დეტექტიური რომანის იდეა შეიძლება, რომ სულაც, უცაბედად გამჩენოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად ვიყავი იმჟამადო. ყველა თავისი აზრი სიუჟეტის გამო აგატას საგანგებო უბის წიგნაკში შეჰქონდა, რომელიც სავსე იყო სხვადასხვა ჩანაწერით შხამებზე და გაზეთებში გამოქვეყნებულ დანაშაულებზე. იწერდა აგრეთვე პერსონაჟთა ამბებსაც. ერთ-ერთ პერსონაჟს, მაგალითად, რეალურად არსებული პროტოტიპი ჰყავდა – მაიორი ერნესტ ბეჩერი, რომელიც თავის დროზე არჩიბალდ ქრისტის (აგატას პირველი ქმრის) უფროსი იყო. სწორედ ის გახდა პედლერის პროტოტიპი 1924 წლის რომანში – „ყავისფერკოსტიუმიანი კაცი“, რომლის მთავარი გმირი პოლკოვნიკი რეისია.

8. აგატა ქრისტი გათხოვილი იყო ორჯერ, თუმცა, მხოლოდ პირველი ქორწინებისას შეეძინა ბავშვი. მეორედ ქრისტი გვიან გათხოვდა, ქმარი 14 წლით უმცროსი იყო. ისინი ბევრს მოგზაურობდნენ, ნანახსა და განცდილს ქრისტი ზოგიერთ რომანში იყენებდა (ცნობილი წიგნი „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“ დაწერილია სტამბოლში).

9. ყოვლის უფრო საშინელი წელიწადი ქრისტის ცხოვრებაში 1926 წელი იყო, როცა დედა გარდაეცვალა. ძმა გაუნარკომანდა, გამომცემელთ კი არ მოეწონათ რომანი „როჯერ ეკროიდის მკვლელობა“, სადაც ამბავს თვითონ მკვლელი ყვება. ამის შემდგომ ქრისტი გაქრა, ხოლო ცოტა ხანში იმ ქალაქის პატარა სანატორიუმში აღმოჩნდა, სადაც ყველა იცნობდა როგორც ტერეზა ნილს. იმხანად მეხსიერებამ ძალიან უმტყუნა, ძლივს იხსენებდა ქმარს, აღარ ახსოვდა ქალიშვილის სახელი, საკუთარი და კი მხოლოდ რამდენიმე დღის მერეღა იცნო. მომდევნო წელიწადს აგატა ქრისტი ფსიქიატრებთან მკურნალობდა, რის შედეგადაც სულიერი ჯანმრთელობა თანდათან აღუდგა.

10. „დეტექტივის დედოფალს“ მიენიჭა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის „დამის კავალრის“ რაინდის წოდება, რის შემდეგაც იმის სახელს დაემატა სათავადაზნაურო წოდება „დამა“. აგატას მეორე ქმარსაც (არქეოლოგ მაქს მელოუენს) მიენიჭა რაინდის წოდება, ოღონდ სამი წლით ადრე.

11. აგატა ქრისტის ზოგიერთი დეტექტიური რომანი ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში გამოვიდა ეკრანზე, თუმცა, ამ ფილმთაგან მან მხოლოდ ერთი აღიარა („მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“).

12. მეორე მსოფლიო ომის წლებში აგატა ქრისტიმ დაწერა ორი რომანი – „დავიწყებული მკვლელობა“ და „ფარდა“, რომლებიც მის მარპლისა და ერკიულ პუაროს სერიის ბოლო რომანები იყო. ქრისტიმ ეს წიგნები ბანკში ჩადო და სეიფის გახსნა მხოლოდ იმ დროისთვის ბრძანა, როცა წერა უკვე აღარ შეეძლებოდა. ეს წიგნები 1974 წელს გამოიცა.

13. აგატა ქრისტის ერთ-ერთი ნაცნობის სიტყვით, თავის რომანებს „დეტექტივის დედოფალი“ შემდეგნაირად წერდა: ჯერ წიგნს თავიდან ბოლომდე თხზავდა, მერე გადაარჩევდა პერსონაჟებს და აირჩევდა რა ყველაზე ნაკლებად შესაფერის ეჭვმიტანილს, იმას გახდიდა მკვლელს.

„დეტექტივის დედოფლის“ ცხრა საიდუმლო

მსოფლიო მწერლობაში მწვავესიუჟეტიანი ლიტერატურის ათასობით ოსტატია, თუმცა, მხოლოდ აგატა ქრისტია შერაცხილი თაყვანისმცემელთაგან და კრიტიკოსთაგან თავისი ჟანრის „დედოფლად“. ჯერ კიდევ ბავშვობიდან ღრმა მოხუცებულობამდე ის თავის თავში ყოველი სადაგი დღის საგულისყუროდ თავგადასავლად აღქმის უნარს ავითარებდა. უყვარდა ქარაგმებით ლაპარაკი (იდუმალება) და ათასგვარ საიდუმლოს იგონებდა თავის თავზე თავის ირგვლივ იდუმალი ატმოსფეროს შესაქმნელად.

„ვისაც ნაღდად არცროდის არ ჰყვარებია, იმას არცროდის ნაღდად არ უცხოვრია“

– ასე ამბობდა აგატა ქრისტი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

საიდუმლო სადესერტო თეფშის შიგ შუაგულში

„დეტექტივის დედოფალი“ დიდ ოჯახში გაიზარდა. ფული არცთუ იმდენი ჰქონდათ, რომ ბავშვები ყოველდღე ნუგბარ-ნუგბარით, მაზამაზა საჭმელებით (დელიკატესებით) გაეენებივრებინათ. ამიტომ, ყელის ჩასაკოკლორზინებელი რასმე საზეიმო დღისთვის განკუთვნილი ლამაზი თეფშებით შემოჰქონდათ მხოლოდ კვირადღეობით, როცა მთელი ოჯახი საერთო მაგიდასთან იყრიდა თავს. პატარა აგატას ძალიან უყვარდა კვირა, რადგან იმ დღეებში სასწაულები ხდებოდა.

თეფშები ერთნაირი იყო და ოცდაოთხი თეფშიდან თითოეულის შუაგულში რომელიმე ხილი ეხატა. უნდა ითქვას, რომ ნახატები არ მეორდებოდა, ყველა თეფშზე გამოხატული იყო სულ სხვადასხვა ხილი. დესერტიან-ჩაროზიან თეფშებს მაგიდაზე დადგამდნენ და უნდა გამოეცნოთ, რა ხილი იყო გამოსახული თეფშზე დესერტის ქვეშ. ვინც გამოიცნობდა, ყველას ეგონა, რომ გამომცნობელს წინასწარმეტყველების უნარი ჰქონდა და ზედმეტ ყურადღებას იმსახურებდა დღის მთელ დარჩენილ დროში.

საზეიმო ბისკვიტის საიდუმლოება

აგატა ქრისტის ოჯახში ყოველწლიური ტრადიცია იყო: შობის საღამოს შემდეგ ყოველთვის საზეიმო ბისკვიტი შემოჰქონდათ. იმას საგანგებო რამ რეცეპტით ამზადებდნენ, შიგ მრავალნაირ საამო ნუგბარს რასმე ატანდნენ. ბისკვიტს ღვინით ჟღენთდნენ, ნაღებს ასხამდნენ, პატარა სათამაშო გოჭუნებს მცირე რამ ბეჭედ-რგოლებს და ჯიჯლაყა ყვავილის ბურთულებს უდებდნენ გუჯაბად. ბისკვიტის დაჭრა ვისაც უნდოდა, ის ჭრიდა, ხოლო თეფშზე ბისკვიტის ნაჭრის გადაღება მხოლოდ იმას შეეძლო, ვისაც ის იმჯერად ეკუთვნოდა – ყველა თავად ირჩევდა მთელი მომავალი წლის ბედიღბალს. ბისკვიტის გუჯაბის ყოველ ინგრედიენტს განსაკუთრებული აზრი რამ ჰქონდა და იმისდა მიხედვით, ვის რა ბისკვიტის ნაჭერი შეხვდებოდა, მარჩიელობდნენ დამდეგი წლის მომავალ მოვლენებზე. წარსულის ამ ტრადიციით შთაგონებულმა აგატა ქრისტიმ მოგვიანებით რომანი დაწერა.

აგატა ქრისტის უფროსი დის საიდუმლოება

აგატამ და მისმა უფროსმა დაიკომ მეჯიმ, როცა პატარა გოგოცუნები იყვნენ, ერთი ასეთი ამბავი შეთხზეს, ვითომ მეჯის ტყუპისცალი დაიკო ჰყავდა, რომელიც საგიუეთში იყო, მაგრამ დროდადრო იპარებოდა იქიდან. ყოველთვის, როცა მეჯი შინ ბრუნდებოდა, აგატას უნდა გამოეცნო, ვინ იყო ის – კეთილი გოგონა თუ სხვა, ვინც საგიუეთიდან გამოიქცა და ბოროტების ჩადენა შეეძლო. ეს თამაში დღეს შიშს ჰგვრიდა და ამასთანავე, თითქოს კიდეც აჯადოებდა. ცოტა ხანში ეს საიდუმლო უკვე ოჯახის წევრებმაც იცოდნენ და ისინიც გამოცნობის ჟინმა შეიპყრო, შინ მოულოდნელად დაბრუნებული უფროსი ქალიშვილი მართლა მეჯი იყო თუ არა.

მოგონილ პერსონაჟთა საიდუმლოება

როგორც უკვე ითქვა, აგატას მდიდარი წარმოსახვის უნარი ჰქონდა, ის მუდმივად იგონებდა პერსონაჟებს თავიანთი ხასიათებით და ბედ-იღბლით. თავიდან ეს იყო კატების ოჯახი, ანდა ესა თუ ის ხე. შემდეგ მოგონილი დაქალები. ნორჩი აგატა ნიადაგ თხზავდა იმათ თავგადასავლებს და რაღაცას დუდუნებდა.

სანამ აგატა პატარა იყო, შინაურები ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. რომ წამოიზარდა, თავისი გატაცების დამალვა დაიწყო. როგორც თავადვე ამბობდა, „უმეცარნი ჩემი დუდუნის გაგონებაზე გაკვირვებულნი დარჩებოდნენ და მერე, ალბათ, იჭორავებდნენ, შეიშალაო. მერე ვიღა წაიკითხავდა შეშლილის დეტექტივებს?! მერჩივნა, ჩემი ფანტაზიით დამტკბარიყვნენ, რახან არ ეცოდინებოდათ, რა დღეშიც ვიყავი წარმოსახვის დუღილისგან“.

გამოგონილი პერსონაჟები (ძაღლები, კატები, პეპლები, თაგვები, ჩიტები) ნორჩი აგატასთვის ბევრად რეალურნი იყვნენ, ვიდრე გარშემო მყოფი ადამიანები. ეს თავისი „გმირები“ იმასთან ერთად იზრდებოდნენ, ათასგვარ ხათაბალას აწყდებოდნენ, ოცნებობდნენ, უყვარდათ და იტანჯებოდნენ. ისე ჩანდა, თითქოს აგატას თავის მოგონილ „გმირთაგან“ ერთ-ერთად მიაჩნდა თავი, ისე განიცდიდა ყველა იმათ ემოციას და თავგადასავალს. ცდილობდა, არ დაერღვია მთავარი წესი – თავის გმირთა არსებობა არცვის არ უნდა სცოდნოდა.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №244-246

ევროკავშირი ადამიანის უფლებათა სფეროში ამერიკული „მაგნიტსკის აქტის“ ანალოგიურ სასანქციო მექანიზმს შექმნის. ამის შესახებ ორგანიზაციის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ჟოზეფ ბორელმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომის შედეგების კომენტირებისას განაცხადა. მან სასანქციო რეჟიმს „ყოვლისმომცველი“ უწოდა და დასძინა, რომ უახლოეს ხანებში ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სამსახური შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაზე დაიწყებს მუშაობას.

ცნობისთვის: ე.წ. მაგნიტსკის აქტი აშშ-ში 2012 წელს მიიღეს და იგი ყოველწლიურად ფართოვდება. დოკუმენტი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც კავშირი აქვთ რუსეთის იზოლატორში ფონდ „Hermitage Capital“-ის იურისტ სერგეი მაგნიტსკის გარდაცვალებასთან. მათ აშშ-ში შესვლა ეკრძალებათ და ფინანსურ სანქციებს ექვემდებარებიან. სადღეისოდ კი ე.წ. მაგნიტსკის სიაში შეჰყავთ უკვე მთლიანობაში ადამიანის უფლებათა დარღვევაზე პასუხისმგებელი პირები.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ან მსგავსი სამართლებრივი აქტები მიიღეს ასევე დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში.

სერგეი მაგნიტსკი რუსეთში კორუფციულ სქემებს იკვლევდა. 2009 წელს გადასახადების გადაუხდელობის ბრალდებით დაკავებული, იგი დაპატიმრებიდან 1 წელიწადში ციხეში გარდაიცვალა. ოფიციალურ მიზეზად გულის უკმარისობა დასახელდა, თუმცა უფლებადამცველები იზოლატორის ხელმძღვანელობას რეალური მიზეზების დამალვაში ადანაშაულებენ.

როგორ შეიძლება, ეს ეხებოდეს საქართველოს?

რატომ არ იზრდება „ტატუნაშვილ-ოთხოზორიას სია“?

ალბათ, ყველას გვახსოვს, რომ 2018 წლის 21 მარტს პარლამენტმა „ევროპული საქართველოს“ ინიციატივით მიიღო რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ. ეს არის დოკუმენტი რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენელთა ან/და მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების მაცხოვრებელთა მიერ საქართველოს მოქალაქეთა გატაცებაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, წამებასა და სიცოცხლის მოსპობაში ეჭვმიტანილი და მსჯავრდებული, აღნიშნული დანაშაულების ხელშემწყობი და მათ დაფარვაში შემჩნეული პირების შესახებ. მოგვიანებით, იმავე წლის 12 ივნისს კი უკვე ევროპარლამენტმა მიიღო საქართველოს შესახებ რეზოლუცია და წევრ ქვეყნებს მოუწოდა, „შავ სიაში“ შეიყვანონ პირები, რომლებიც „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შევლენ, ასევე მათ მიმართ ევროკავშირის მასშტაბით სანქციები იქნას შემოღებული.

„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ შეადგინა, სულ 33 პირია შეყვანილი, რომელთაგანაც მინიმუმ სამი — ვლადიმერ ნაჩაჩ-ოღლი, რაულ კორტავა და ოთარ ტურანბა იმ დროისთვის უკვე გარდაცვლილები იყვნენ. რეზოლუციის მიღების ინიციატორ „ევროპულ საქართველოში“ მაშინვე აცხადებდნენ, რომ მსგავსი სია არა მარტო „მკვდარი სულების“ გამო, არამედ იმ მხრივაც იმსახურებდა კრიტიკას, რომ მასში არ აღმოჩნდა საოკუპაციო ძალების არც ერთი წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რომელიც ან თავად სჩადიოდა დანაშაულს, ან ხელს აფარებდა დამნაშავეებს. გარდა ამისა, სიაში არ ფიგურირებდა ბევრი ის პირი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ქართველების მიმართ როგორც ომის დროს, ისე შემდგომ წლებში.

კრიტიკის საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, რომ ეს მხოლოდ თავდაპირველი ვარიანტი იყო, სია აუცილებლად გაფართოვდებოდა და მასში მოხვდებოდნენ „დანაშაულის არა მარტო უშუალო შემსრულებლები, არამედ ისინიც, ვინც მათ ხელი დააფარეს“.

საქართველოს მთავრობაში ასევე აცხადებდნენ, რომ სიაში შეყვანილ პირთა გარდაცვალების თაობაზე ოფიციალური ცნობების მიღების შემდეგ მოხდებოდა მისი ეტაპობრივი კორექტირება.

„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ მიღებიდან დაახლოებით 2 წელი გავიდა. „აქცენტი“ დაინტერესდა, რა მოხდა სიის კუთხით ამ საკმარისად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. და გაირკვა, რომ არც არაფერი!

„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“ არ გაფართოებულა, ის იმავე სახითაა, როგორც თავდაპირველად იქნა მიღებული“, — განუცხადეს „აქცენტს“ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში და დასძინეს, რომ რაიმე ცვლილების შემთხვევაში საზოგადოება ამის შესახებ სათანადოდ იქნება ინფორმირებული...

...აი, სეპარატისტები კი დროს არ კარგავენ და თავისუფლად დათარეშობენ რუსული პასპორტების გამოყენებით ევროპულ დედაქალაქებში კონტაქტების დასამყარებლად და რუსეთის ხელშეწყობით პროპაგანდისტული მიზნით ათასგვარი „კულტურული ცენტრებისა“ თუ სხვა მსგავსი უწყინარი სახელწოდებების ორგანიზაციების გასახსნელად. კერძო პრორუსული განწყობის პირთა ხელშეწყობით ისინი გერმანიაში, ბრიტანეთში, იტალიაში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში მართავენ შეხვედრებს, რომელთაც ხშირად ადგილობრივი მასშტაბის (მაგალითად, რეგიონული ან საქალაქო საკრებულოებისა თუ მერიების) ოფიციალური პირებიც ესწრებიან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარი ასეთ შემთხვევებში თითქმის ყოველთვის იდენტურია: ე.წ. კულტურული და საზოგადოებრივი ცენტრების გახსნის იდეა კერძო პირებს ეკუთვნით და ადგილობრივ ხელისუფლებებს იქაური კანონმდებლობით, არ გააჩნიათ ბერკეტები, ხელი შეუშალონ მათ ინიციატივებს.

ასეა თუ ისე, დაუსჯელობით შეგულიანებული სეპარატისტები ოკუპანტი რუსეთის ხელშეწყობით სულ უფრო აქტიურად იღვწიან ევროპული დედაქალაქების „ასაღებად“. ამის ილუსტრირებისთვის მხოლოდ მიმდინარე წლის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული რამდენიმე ღონისძიების ჩამონათვალს გთავაზობთ:

- **2019 წლის 14 მაისს ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ იტალიის ქალაქ რანდაცოს მუნიციპალიტეტთან ე.წ. თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმა.**
- **2019 წლის 15 ოქტომბერს ავსტრიაში „აფხაზურ-ავსტრიული საზოგადოება“ შეიქმნა.**
- **2019 წლის 19 ივნისს ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი მედოევი ბრიუსელში იმყოფებოდა, სადაც საერთაშორისო არაკომერციული ასოციაციის Renaissance-Sandidzan (ბელგია) მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ღონისძიებაში — ევროპაში ოსური კულტურის დღეებში მონაწილეობდა.**
- **2019 წლის 12 ნოემბერს დიმიტრი მედოევი ბერლინის რეგიონული პარლამენტის დეპუტატ გუნარ ლინდერმანის მიწვევით გერმანია სტუმრობდა.**
- **2019 წლის 15 ნოემბერს მედოევი იტალიაში ჩავიდა და მილანში მეგობრობის ასოციაციის „იტალია-სამხრეთ ოსეთი-ალანია“ დაფუძნების ცერემონიას დაესწრო.**
- **2019 წლის 21 ნოემბერს დიმიტრი მედოევი ლატვიელი ევროპარლამენტარის — ტატიანა ჟდანოკას ხელშეწყობით ევროპარლამენტს სტუმრობდა.**
- **2019 წლის 9 დეკემბერს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში „აფხაზ-აბაზინელთა მსოფლიო კონგრესის“ რეგიონული ოფისი გაიხსნა. ორგანიზაციის ცნობით, ამ მიზნით „კონგრესის“ წარმომადგენლები აფხაზ-აბაზინელთა დიასპორების წარმომადგენლებთან შეხვედრებს უახლოეს ხანებში ჰოლანდიასა და გერმანიაშიც გეგმავენ.**

ალბათ, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა და არ მოხდება მომავალში, სეპარატისტთა და ოკუპანტთა პასუხისმგებელი პირები რომ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის“ სიაში იყვნენ და საქართველოს ხელისუფლება მათ დასასჯელად უფრო მეტ ძალისხმევას (ნებას) იჩენდეს.

თურქეთის პროტესტი სენატის რეზოლუციის წინააღმდეგ

აშშ-ის სენატის მიერ მიღებული რეზოლუცია სომეხთა გენოციდის შესახებ მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და თურქულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარების შეფერხებას ისახავს მიზნად, — ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

„ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება ისტორიის პოლიტიზირება. აშშ-ის სენატის მიერ მიღებული რეზოლუცია სომეხთა გენოციდის შესახებ მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და თურქულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარების შეფერხებას ისახავს მიზნად. ისინი, ვინც ფაქტების იგნორირებით ისტორიას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს, ვერასოდეს მიაღწევენ მიზანს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

12 დეკემბერს აშშ-ის სენატმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია სომეხთა გენოციდის შესახებ. მანამდე რეზოლუციას აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამაც დაუჭირა მხარი.

მრავალი ისტორიკოსი და არაერთი ქვეყანა გენოციდად მიიჩნევს პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიაში 1,5 მილიონამდე სომხის დახოცვასა და დეპორტაციას.

თურქეთი კი აცხადებს, რომ სომხებს შორის მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იყო და ეს მსხვერპლი მოჰყვა სამოქალაქო არეულობას და არა ოსმალეთის იმპერიის მიზანმიმართულ პოლიტიკას სომხების გასანადგურებლად.

ჟურნალისტის მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს

უკრაინის პოლიციამ ჟურნალისტ პაველ შერემეტის მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავა. ინფორმაციას ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი ავრცელებს. მოგვიანებით კიევში გამართულ ბრიფინგზე კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელმა ევგენი კოვალმა განაცხადა, რომ საქმეზე 5 ადამიანია დაკავებული: მედდა იანა დუგარი, ექიმი და მოხალისე იულია კუზმენკო, მუსიკოსი და დონბასში სამხედრო ოპერაციის მონაწილე ანდრე ანტონენკო და კიდევ ორი ვეტერანი — ვლადისლავ და ინა გრიშენკო.

პაველ შერემეტი 2016 წლის 20 ივლისს კიევის ცენტრში მანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა. გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობა მის ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირდება.

აშშ და ჩინეთი სავაჭრო შეთანხმების პირველ ნაწილზე შეთანხმდნენ



ახლა ამერიკელმა მომლაპარაკებლებმა შეთანხმების პიროები ქვეყნის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს უნდა გააცნონ. საგენტო წყაროების მტკიცებით, ტრამპმა გადადო 160 მილიარდი დოლარის ღირებულების ჩინური პროდუქციისთვის ტარიფების დაწესება, რომელიც 15 დეკემბერს უნდა ამოქმედებულიყო.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 15 მაისს ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, ამერიკულ კომპანიებს იმ უცხოური სატელეკომუნიკაციო კომპანიებით სარგებლობა აეკრძალათ, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს.

ᲞᲐᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲠᲝᲚᲘᲚᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲘ

ᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲡ რომ თავიანთი „ხუშტურები“ აქვთ, საქვეყნოდაა ცნობილი. ზოგი საარაკო სიძუნწით გამოირჩევა, ზოგი კი ფულს უაზროდ ფლანგავს.

რუსეთელი მილიარდერი **იგორ რიბაკოვი,** რომელსაც ქვეყნის უმდიდრეს პირთა სიაში 78-ე ადგილი უკავია, 2019 წელს სანკტ-პეტერბურგში გამართულ ბიზნეს-ფორუმზე გამოსვლისას დარბაზში 20 ათასი ერთდოლარიანი კუპიურა მოისროლა. თავისი უგვანო საქციელი მილიარდერმა იმით ახსნა, რომ იმ ფორუმზე გამოსვლით მან 200 ათასი დოლარი გამოიმუშავა და ნასროლი ფული კი მაყურებლისთვის ერთგვარად „ფულის უკან დაბრუნებას“ ნიშნავდა.

თუმცა, უმდიდრესთა შორის არიან ისეთებიც, ვისაც რიბაკოვის საქციელი უაზრობად მიაჩნია. მათ შორისაა სოციალური ქსელის „В контакте“-ს შემქმნელი **პაველ დუროვი,** რომელმაც ქალაქის დღე სანკტ-პეტერბურგში იმით აღნიშნა, რომ თავისი ოფისის ფანჯრიდან ქუჩაში ქაღალდის უამრავი თვითმფრინავი გაუშვა, რომელთაგან თითოეულს 5-ათასიანი კუპიურა ჰქონდა მიმაგრებული, მერე კი სიცილით იგუდებოდა, როცა ხედავდა, თუ როგორ ალეწავდნენ გამვლელები ერთმანეთს თავყბას ამ „თვითმფრინავებისთვის“.

თუმცა, რუსეთელ ოლიგარქთა ანცობა ვერაფერი მოსატანია ჰონგკონგელი მილიარდერის **ვონგ ჩინგ-კიტის** ქმედებასთან, რომელმაც თავისი კაბინეტის ფანჯრიდან ქუჩაში 13 მილიონი დოლარი გადაყარა სავსებით კეთილშობილური მიზნით — ღარიბებისთვის დახმარების გასაწევად... ამ საქციელმა ქუჩაში საშინელი ჭყლეტა გამოიწვია და ხალხი დაშავდა, რის გამოც პოლიცია იძულებული გახდა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის ჩინგ-კიტი დაეკავებინა...

ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ „ᲢᲚᲐᲞᲝ“

55 ᲬᲚᲘᲡ წინათ, 1964 წლის ოქტომბერში, ნიკიტა ხრუშჩოვი ხელისუფლებას ჩამოაცილეს, მისი მმართველობის ხანას თავდაპირველად „ხრუშჩოვის დათბობა“ შეარქვეს, თუმცა ახლახან დასტამბულ წიგნს რუსეთელმა ისტორიკოსმა ევგენი სპიცინმა „ხრუშჩოვის ტლაპო“ უწოდა.

თავად მკვლევარის თქმით, წიგნზე მუშაობის დროს მას მტკიცე აზრი ჩამოუყალიბდა, რომ „დათბობა“ სინამდვილეში არც ყოფილა, ყველაფერი ტალახში აიზილა.

1954 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც პოლიტიკური სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვა დაევალა. ათი თვის შემდეგ ხრუშჩოვსა და ცკ-ის პრეზიდიუმის სხვა წევრებს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნეს — მუშაობის პეროიდში კომისიის წევრებმა პოლიტიკური მოტივებით აღძრული 237 ათასი სისხლის სამართლის საქმის მასალები განიხილეს, რაც დღე-ღამეში 800 საქმის გაცნობას ნიშნავს (?!), თუმცა „ხრუშჩოვის დათბობა“ არსებითად იმაში გამოიხატა, რომ აქედან რეაბილიტირებული იყო მსჯავრდებულთა მხოლოდ 3,75 პროცენტი, დანარჩენები კი კვლავაც დამნაშავეებად ცნეს.

ამასთანავე, ბევრის მიმართ გამოიყენეს ამნისტია, ბევრსაც პატიმრობის ვადა შეუმცირეს, რუსეთის ფედერაციაში რეაბილიტირებული იყო მსჯავრდებულთა 4,8 პროცენტი, უკრაინაში კი, სადაც ნიკიტა ხრუშჩოვი 1938-49 წლებში კომპარტიის პირველი მდივანი იყო — მხოლოდ 0,91 პროცენტი. ეს მაჩვენებლები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რამდენად „უკანონო“ იყო მასობრივი რეპრესიები: ფაქტობრივად, გამოდის, რომ მსჯავრდებულთა 95-96 პროცენტი კანონის დაცვით იყო გასამართლებული!

ᲬᲧᲚᲣᲚᲘᲡ „ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ“

ᲙᲣᲭᲭ-ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲘᲡ სისტემის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება კუჭის წყლულია.

ᲑᲝᲚᲝ დრომდე მიჩნეული იყო, რომ წყლულის წარმოშობის მთავარი მიზეზებია არასწორი კვება და მავნე ჩვევები. ახლა კი დადგინდა, რომ წყლულის წარმოსაქმნელად ასევე დამატებითი ფაქტორებიცაა საჭირო: ახალგაზრდობაში სნეულების პროვოკატორად **სტრესი** გვევლინება, რომლის ზემოქმედებით წყლული სულ რამდენიმე საათში შეიძლება წარმოიშვას. ხანდაზმულ ასაკში კი კუჭის წყლული ხშირად **მედიკამენტოზური** მიზეზით ჩნდება. თუმცა კი მთავარი მიზეზი მაინც დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ბაქტერია **ჰელიკობაქტერ პილორია,** რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია კუჭის №1 მტრად ასახელებს. ის ადამიანთა 70-80 პროცენტის კუჭში ცხოვრობს, თუმცა კი ყველა მათგანი როდი ავადმყოფობს: ბაქტერია სხვა უარყოფით ფაქტორთა — **იმუნიტეტის დაქვეითების, სტრესებისა და მავნე საკვების** — ზემოქმედების შედეგად აქტიურდება.

ბევრს ჰგონია, რომ წყლულს მუდამ მძაფრი ტკივილები ახლავს, არადა, ეს ასე არ არის. საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით ხანდაზმულ ასაკში, წყლულის წარმოშობას უწყობს ხელს.

იმის გამო, რომ კუჭის კიბო ონკოლოგიურ დაავადებათა ერთ-ერთი აგრესიული და გავრცელებული სახეობაა, მკურნალობა კი საუკეთესო შედეგს ადრეულ სტადიებზე იძლევა, ამიტომ **წელიწადში ერთხელ საჭიროა გასტროენტეროლოგთან ვიზიტი და გასტროსკოპიის გავლა.** ისიც გასათვალისწინებელია, რომ კუჭის წყლული უფრო ხშირად მამაკაცებს უჩნდებათ. გახსოვდეთ, რომ კუჭის წყლულის მქონე პაციენტები, როგორც წესი, ფიცხი, წყენია, განგაშიანი და უმიზეზოდ გაღიზიანებულები არიან. გაუთავებელ თვითგვემას კი მარილმჟავის სეკრეცია მოსდევს, რომელიც ჯერ ლორწოვან გარსს აზიანებს, შემდეგ კი კუჭის წყლულის წარმოშობას უწყობს ხელს.



ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ყველაზე გრძელი ლერდალის სამანქანო გვირაბი — 24,5 კილომეტრი — ნორვეგიაშია.

იმისთვის, რომ მოძრავი ავტომანქანების მძღოლებმა გვირაბში გავლისას ყურადღება არ მოადუნონ, სწორი მონაკვეთები მოსახვევებს ენაცვლება, თან განათების ფერიც იცვლება.

აღსანიშნავია, რომ ლერდალის გვირაბის შენახვა სახელმწიფო ხაზინას ყოველწლიურად მილიარდი შვედური კრონა (113 მილიონი დოლარი) უჯდება.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲭᲐᲜᲒᲘᲡ ᲚᲐᲥᲐᲦᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ...

1912 ᲬᲚᲘᲡ 15 Ა�პᲠᲘᲚᲡ ატლანტიკის ოკეანეში ჩაძირული სამგზავრო ლაინერი „ტიტანიკი“, რომლის ნამსხვრევები 3810 მეტრის სიღრმეზეა, გაცილებით სწრაფად იშლება, ვიდრე მეცნიერები ვარაუდობდნენ.

უიღბლო ხომალდისგან ოკეანის ფსკერზე ცოტა ხანში — მკვლევართა გაანგარიშებით, 2030 წლისთვის — მხოლოდ ჟანგის ლაქაღა დარჩება, რაც მეცნიერებისთვის მანამდე უცნობი ბაქტერიის „ჰალომანას ტიტანიკას“ ცხოველმოქმედების შედეგი იქნება. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სწორედ ამის გამო მიმდინარეობს ასე სწრაფად „ტიტანიკის“ ფოლადის კარკასის კოროზია.

— საშინელი სანახაობაა, თუ როგორ „იხსნება“ „ტიტანიკი“ ოკეანეში, ბაქტერიები მას ფხვნილად აქცევენ, — აცხადებენ სპეციალისტები.

ᲜᲘᲒᲝᲖᲘ ᲒᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲜᲐᲐᲚᲓᲔᲒ

ᲧᲝᲕᲔᲚᲚᲘᲣᲠᲐᲓ მირთმეული 15 გრამი ნიგოზი გასუქების რისკს 25 პროცენტით ამცირებს.

ნიგოზი დიდი ოდენობით უჯროვანას შეიცავს, რომლის მონელებას დიდი დრო სჭირდება, ამიტომაც დანაყრების შეგრძნება კარგა ხნით ნარჩუნდება. ნიგვზის ბოჭკოები ნაწლავებში ცხიმებთან შედის ბმაში, ამიტომაც ბევრი კალორია გამოაქვს, ხოლო არაგაჯერებული ცხიმების მაღალი შემცველობა მშვიდ მდგომარეობაში ზრდის ენერგიის ხარჯვას, რაც ხელს უშლის ჭარბი წონის აკრეფას.

◎ თაობა

ვეკუას ტრიუმფი

ძალოსანმა გურამ ვეკუამ (96 კგ.) ტრიუმფით დაასრულა გამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც ისრაელის ქალაქი ეილატი მასპინძლობს. მან 15-წლამდელთა შეჯიბრში 3 ოქროს მედალი მოიპოვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ვეკუამ ატაცაში 118, 122 და 126 კგ. დასძლია. ამასთან, მან მე-2 მისვლაზე საქართველოს რეკორდი – 2, ხოლო ევროპის რეკორდი 1 კგ-ით გაზარდა, მესამე მისვლაზე კი ევროპის საუკეთესო შედეგი უკვე 5 კგ-ით გააუმჯობესა.

გურამი აკვრაშიც საუკეთესო იყო. ქართველი ძალოსანი 144, 148 და 151 კგ-ს გაუმკლავდა. მან ყველა მისვლაზე ევროპის რეკორდი დაამყარა და ორჭიდის ჯამში მოგროვებული 277 კგ-ით ოქროსმედალოსანი გახდა.

კობა კობახიძე

◎ ძიუდო

ბრინჯაოს სტარტი

ჩინეთის მასტერზის პირველ საშეჯიბრო დღეს საქართველოს ნაკრების ღირსების დასაცავად მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ლუხუმ ჩხვიმიანმა (60კგ), ასევე ბაგრატ ნინიაშვილმა (66კგ), ვაჟა მარგველაშვილმა (66კგ) და ეთერ ლიპარტელიანმა (57კგ) იასპარეზეს.

ოთხი ქართველი სპორტსმენიდან მედლის მოპოვება მხოლოდ ვაჟა მარგველაშვილმა შეძლო. მან მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სლოვენიელი მეტოქე 39 წამში იპონით დაამარცხა.

დღეს ტურნირზე ჩვენი ქვეყნის სახელით 81კგ-ში ტატო გრიგალაშვილი გამოვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ლეგიონერი

ლიდერის წვლილი

ევროლიგაში ორმატჩიანი წარუმატებელი სერია დაასრულა თორნიკე შენგელიას „ბასკონიამ“, რომელმაც ბელგრადში „ცრვენა ზვეზდა“ 72:64 დაამარცხა და ვითარება გაიუმჯობესა.

გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართველ მძიმე ფორვარდს, რომელიც პარკეტზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

თორნიკემ 37 წუთში 19 ქულა, 8 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. შენგელიამ 11-დან 5 ორქულიანი და 4-დან 3 სამქულიანი ჩააგდო, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 18-ს გაუტოლდა.

ქართველი ამ მაჩვენებლით და მოპოვებული ქულებით მხოლოდ თანაგუნდელ ნიკ სტაუსკასს (22 ქულა, 22 მარგი ქმედების კოეფიციენტი) და „ცრვენა ზვეზდას“ წევრ ლორენცო ბრაუნს (20 ქულა, 22 მარგი ქმედების კოეფიციენტი) ჩამორჩა. შესაბამისად, მიუხედავად ჩინებული გარჯისა, MVP-ს ტიტულს ვერ შესწვდა.

რაც შეეხება მეტ ჯენინგს, 22 წუთში ამერიკელმა ქულის მოპოვება ვერ შეძლო და ოდენ თითო მოხსნა-პასით დაასრულა შეხვედრა. „ბასკონიას“ 6 გამარჯვების საპირწონედ 7 მარცხი აქვს და სატურნირო ცხრილში მეცხრე საფეხურზეა. მომდევნო ტურში იგი 18 დეკემბერს „ვალენსიას“ ესტუმრება.

ბეჭან დოლიძე

◎ თანამშრომლობა

მეგობრობა გრძელდება

საქართველოს რაგბის კავშირსა და ლიდერბეთს შორის ურთიერთთანამშრომლობის ახალი მემორანდუმი გაფორმდა. კომპანია რაგბის კავშირის ოფიციალური პარტნიორი და დიდი 10-ის გენერალური სპონსორი გახდა.

ლიდერბეთსა და რაგბის კავშირს შორის თანამშრომლობა დაახლოებით 1,5 წლის წინათ დაიწყო. მხარეები ამ დოკუმენტით კმაყოფილი დარჩნენ, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ და ლიდერბეთის აღმასრულებელმა დირექტორმა ბაჩო სარალიძემ ხელი განახლებულ შეთანხმებას მოაწერეს.

„ჩვენთვის დიდი პატივია რაგბის კავშირთან თანამშრომლობა და უკვე მეორედ ფორმდება მემორანდუმი. ვფიქრობთ, გასული წლის განმავლობაში ჩვენი მცირედი წვლილი შევიტანეთ ქართული რაგბის და დიდი 10-ის კლუბების წარმატებებში. კონტაქტები ორივე მხარისთვის კომფორტული იყო და ვაგრძელებთ ამ თანამშრომლობას“, – განაცხადა **ბაჩო სარალიძემ**.

„დიდი მადლობა ლიდერბეთს, ვისთანაც ურთიერთობა უკვე მეორე სეზონია გრძელდება. კლუბებისთვის ეს თანამშრომლობა დიდი სიკეთის მომტანია და წარმატებას ვუსურვებ ლიდერბეთს მის ლეგალურ ბიზნესში“, – თქვა **გოჩა სვანიძემ**.

მემორანდუმზე ხელმოწერის დაფიქსირების შემდეგ დიდი 10-ის ყველა კლუბის წარმომადგენელს ახალი კვართები და სათამაშო ბურთები, ასევე სიმბოლური საჩუქრები გადაეცა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კრისტინა ივანოვამ სოციალური ქსელები დაიპყრო

რუსულ ფეხბურთში თავით უნდა იყოს კაცი გადაშვებული, ნახევარმცველ ოლეგ ივანოვის სახელი რომ გაეგოს. გაიგებს და რა ხეირი? უცებ მისი საოცარი სოლო-გარღვევები და დიდებული პასები არ ნახოს... თუმცა, ამ ბედოვლათი კაცის ცხოვრების გარშემო რუსული მედია მაინც გამუდმებით წერს.

ოლეგ ივანოვის პოპულარობის არსი და გასაღები მის მოდელ ცოლში კრისტინა ივანოვაშია, რომელიც სოციალური ქსელების ნამდვილი კაშკაშა ვარსკვლავია და იმდენი მომწონებელ-გამზიარებელი ჰყავს, რომ ქმარი სულაც ეჭვიანობასთან შორსმყოფი რომ ჰყავდეს, მასზე ბოლოს მაინც იეჭვიანებს.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მშვენიერი კრისტინა ივანოვა (რომლის განცხადებითაც, საცურაო კოსტიუმებში თამამი ფოტოების გადაღება და „ინსტაგრამზე“ დადება დიდ სიამეს ანიჭებს) ორი შვილის დედაა და ასეთ მშვენიერ ფორმაში ყოფნას ეს ქალი გამუდმებულ ვარჯიშებს და მწყაზარ დიეტებს უმადლის.

◎ ევროპა ლიგა

პლეი-ოფში ითამაშებენ

ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის მეექვსე ტურის შემდეგ ცნობილი გახდა 32 გუნდი, რომლებიც 1/16 ფინალში ითამაშებენ. ჯგუფური ეტაპიდან გასულ 24 გუნდს დაემატა რვა კლუბი, რომლებმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფებში მესამე ადგილი დაიკავეს.

მეთექვსმეტედფინალისტთა სია ასეთია:

განთესილები: არსენალი (ინგლისი), მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), ესპანიოლი (ესპანეთი), სევილია (ესპანეთი), ინტერი (იტალია), რომა (იტალია), აიაქსი (ჰოლანდია), გენტი (ბელგია), პორტუ (პორტუგალია), ბრაგა (პორტუგალია), ბენფიკა (პორტუგალია), სელტიკი (შოტლანდია), ზალცბურგი (ავსტრია), ლინცერი (ავსტრია), ბაზელი (შვეიცარია), მალმიო (შვედეთი).

განუთესავები: ვულვზი (ინგლისი), ხეტაფე (ესპანეთი), ლევერკუზენი (გერმანია), აინტრახტი (გერმანია), გლადბახი (გერმანია), ვოლფსბურგი (გერმანია), ალკმაარი (ჰოლანდია), ბრიუგე (ბელგია), სპორტინგი (პორტუგალია), რეინჯერსი (შოტლანდია), კოპენჰაგენი (დანია), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), შახტარი (უკრაინა), აპოელ (კვიპროსი), კლუჟი (რუმინეთი), ლუდოგორეცი (ბულგარეთი).

1/16 ფინალის წილისყრა 16 დეკემბერს გაიმართება. ამ ეტაპის პირველი მატჩები 20 თებერვალს გაიმართება, განმეორებითი – 27 თებერვალს.

გიორგი ზოთაძე

ლექსად ამოთქმული ლოცვა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ



ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს კარგად ემახსოვრება ერთი შესანიშნავი რუბრიკა გაზეთისა, რომელშიც მთელი საქართველოს ლექსის მოტრფიალეთა წარმომადგენელთათვის ღია იყო კარი — „ყველა ქართველი პოეტია...“ ჩვენი გენი, რომელიც ვაჟკაცობის, ერთგულებისა და პატრიოტიზმის ერთობლივ ნაზავს შეადგენდა, არაფერი იქნებოდა ლექსის, პოეზიის სიყვარულის გარეშე. არ გვეგულება ქართველი, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხელი არ წასცდენოდა კალმისკენ და გულის ამღერება, სევდა, სიყვარული, ნაფიქრ-ნააზრევი ფურცელზე არ გადაეტანა, ლექსად არ მიეძღვნა საყვარელი ადამიანისთვის, სამშობლოსთვის, მოყვასისთვის. ლექსით გამოეხატა თუნდაც ყოფითი გაჭირვება, სიხარული და თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკური ვითარებებიც კი. „ლექსით მონუსხულთა“ შორის ათასი პროფესიის ადამიანი გვსტუმრობდა, სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა მისწრაფებებისა.

სულ ახლახან გამომცემლობა „ახალმა საქართველომ“ შემოგვთავაზა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკის აკადემიური დოქტორის, ბატონ **გულთაზ ლაბარტყავას** ლექსთა კრებული **„ნატვრა“,** რომლის რედაქტორიც გახლავთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, პუბლიცისტი და პედაგოგი **რამინ ჭელიძე.** კრებულში ოთხასამდე ლექსია თავმოყრილი, რომელთა უმეტესობაც ბოლო წლებშია შექმნილი და დიდი მოღვაწის განვლილი ცხოვრების ნაფიქრ-ნააზრევს წარმოადგენს. ამ ლექსების დედააზრი და შინაარსი ეძღვნება სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, მეგობრობას, ვაჟკაცობას, ლამაზ და ღირსეულ სიცოცხლეს. ეს კი ავტორის დიდი და ლამაზი სიყვარულის შედეგია, რომლითაც მას უცხოვრია, უშრომია, უღვაწია. საიუბილეო 80 წელი კი ამ კრებულად აკინძული ძვირფასი მშობლებისა და გამზრდელი მამიდის ხსოვნას მიუძღვნა.

თუ გულდასმით გადახედავთ ამ ერთი ამოსუნთქვით დაწერილ ლექსებს, ადვილად მიხვდებით, რომ ისინი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და ავტორის ცხოვრება, სატკივარი და სიხარული ლექსებითაა წარმოჩენილი.

მშობლიური ფაზისისა და თბილისის სიყვარული, იმქვეყნიურ საქართველოში გარდასულ მეგობართა და ახლობელთა ხსოვნა, შვილები და შვილიშვილები, დიდი საახლობლო, საქართველოს სახელის მადიდებელი წინაპრები... ყველასთვის გულიდან ამოსული სტრიქონებით მიუზღავს ლექსად ჩამოქნილი სიყვარული.

ბატონ გულთაზის ლექსები იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში, გაზეთებში „თბილისში“, „სოფლის ცხოვრებაში“, „კომუნისტში“ და ლიტერატურულ ალმანახებში. მის ლექსებზე „მოგვილოცავს გამარჯვება“ და „გაიხარე გულო!!!“ კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა შესანიშნავი სიმღერები დაწერა.

ყველა ლექსი საბოლოოდ ერთ ფოკუსში იყრის თავს, რომელიც ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გახლავთ“ საფიცარი და საამაყო დედასამშობლო — საქართველო. ლექსები ერთგვარი ლოცვაა უფლის წინაშე ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ...“

გილოცავთ კარსმომდგარ ახალ წელს, ბატონო გულთაზ, გისურვებთ, რომ ყველა ნატვრა აგსრულებოდეთ!

ავთანდილ ბექაური

◎ ნატურიდან

გერონტი, შეეშვი გაზეთის კითხვას!

გუშინ ნავთლულის ბაზარში ჩემი ძველი ძმაკაცი გერონტი შალამბერიძე სულ რომ არ ველოდი, ისევ გამეჩითა.

— შენ, ჩემო ძმაო, კუდში სუსის დავალებით ხომ არ დამყვები? — ვეკითხები.

— აბა, როგორ?! — იღრიჭება, — დღეს ჟურნალისტების ყველას ეშინია, მათ შორის, განსაკუთრებულად, მთავრობას!

— რისი ეშინია?

— დამხობის, ძმაო, დამხობის! აგე ხო მოისმინე, არამზადა გვარამია სახელმწიფოს ოფიციალურად დაემუქრა დამხობით.

— ჰო, ლეგიტიმურად დაგამხობო, გაამხნევა.

— ლეგიტიმურად დაამხობს თუ არალეგიტიმურად, კი შეაშინა და...

— მართალი ხარ, მართალი. მთავრობას ჟურნალისტებისა ეშინია, ქალებს კიდე შენისთანების.

გერონტი მიხვდა საითკენაც გადავუკარი და უხერხულად შეიშმუშნა. მკითხველს ალბათ ახსოვს მეტროში გერონტის თავს გადახდენილი ამბავი, როცა ვიღაც შილიფად გაპრანჭულმა ქალბატონმა ბერიკაცი მიშტერებაში დაადანაშაულა. სწორედ ეს შევახსენე.

— კარგი, მაგას თავი დავანებოთ, — სცადა სიტუაციიდან გამოძრომა გერონტიმ, — შენ ეგ მითხარი, ბაზარში დღეს რის ყიდვას აპირებ?

— სახაშე მასალის, რა ხანია ხაშის მირთმევის სურვილი მკლავს და ბაზარში წამოსვლა ვერა და ვერ მოვახერხე.

— აპა-პა-პაააა, ხაშს არ გაეკარო! — ხელები გაასავსავა გერონტიმ.

— რატომ, კაცო, დილით, მით უფრო ნაბახუსევზე, კარგ ხაშს რა შეედრება!

— მერე, სად ნახავ მასეთი ხაშის მასალას? ქიმიკატებით ნაკვები ახლანდელი საქონლისა, ჩემო ძმაო, არც ხორცი იჭმევა და არც ხაში.

— ხორცი გასაგებია, მაგრამ ფაშვს რაღა დაემართა?

— სწორედ ფაშვს დაემართა, რაც დაემართა!.. ორგანიზმში დაგროვილი ქიმიკატების წყალობით კუჭი სიფრიფანა ხდება, ფაშვი კი საშინლად სუნიანი და უვარგისია.

— ეს ყველაფერი საიდან იცი?

— გაზეთში წავიკითხე.

— აბა რა ვქნა, ბაზრიდან სახლში ხელცარიელი დავბრუნდე? — დავიწუწუნე.

— რატომ ხელცარიელი, აგე, დახლები სავსეა ქათმებით, მეც ვყიდულობ და შენც გაყიდინებ.

რაღას ვიზამდი, დავყაბულდი.

გერონტიმ დახლებს მუშტრის თვალით აუარ-ჩაუარა და ბოლოს ჭრელ ქურთუკში გამოწყობილ სქელ-სქელ ქალბატონს მიადგა:

— სადაური ქათმებია, ქალბატონო? — აჯახა კითხვა გამყიდველს.

— შენ ქათამი ნახე როგორია, სადაურობას რას კითხულობ? — შორს დაიჭირა მოვაჭრემ.

— მაშინ ის მითხარი, რამდენთვიანები არიან?

— ასაკი რაში გაინტერესებთ, ბატონო, ქათამია, ცხენი ხომ არა?

— ცხენი რომ იყოს, მისი კბილებით დავადგენდი ასაკს, ამ ქათმის ნისკარტით კი ვერაფერს შეიტყობ.

— ზოგი მამაკაცის ნისკარტს კი მოუჯოკრავს და... — ჩაიხითხითა ქალმა და გვერდით მოვაჭრენიც აიყოლია.

— წამო, ამათგან არაფერი გამოვა, — გამომდო ხელკავი გერონტიმ.

— შენც კაი ვინმე ხარ, — ვუსაყვედურე ძმაკაცს, როცა დახლებს გამოვცდით, — ვერ გავიგე, ქათმების ასაკი რაში გაინტერესებდა?

— კაი მამაძაღლები არიან, ხომ ნახე ქათმების წლოვანება ვერაფრით დავაცდენინე.

— არც იყო საინტერესო.

— როგორ არ იყო, კაცო!.. ახლა თურმე

პირუტყვთან ერთად ქათმებსაც ქიმიკატებით ჭყიპავენ და რა შედეგს აღწევენ, არ იკითხავ? ორ თვეში ქათმები, თურმე, ორკილოგრამიანები ხდებიან!

— კარგი დასუქებული ქათმები კი იყო და...

— სწორედ მაგ ქიმიკატებით იყო დასუქებული და ასაკს იმიტომ მალავდნენ.

— კი მაგრამ, ქათმების ამბავი საიდანღა იცი? — დავინტერესდი.

— ეგეც გაზეთში წავიკითხე.

— თუ ძმა ხარ, შეეშვი გაზეთის კითხვას, ყოველ შემთხვევაში, თუ მთლად ვერ გადაეჩვევი, საკუთრივ შენთვის მაინც იკითხე... — ვურჩიე გერონტის დამშვიდობებისას.

ასე დასრულდა ჩემი ბაზრობანა იმ დღისით, გერონტის გადამკიდემ ვერც სახაშე მასალა შევიძინე და ვერც ქათამი ვიყიდე...

ოტია ჩართოლანი

დანართი 1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით.
2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 20 დეკემბერს და დასრულდეს 2019 წლის 30 დეკემბერს.
3. პრეტენდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 10:00-დან 17:00 საათამდე (ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №61, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი №225.
4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდეს 2 ეტაპად:
   ა) დოკუმენტური მონაცემების შეფასება - 2020 წლის 6 იანვრიდან არა უგვიანეს 2020 წლის 16 იანვრისა;
   ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება - 2020 წლის 27 იანვრიდან არა უგვიანეს 2020 წლის 5 თებერვლისა.
5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურა წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენილ იქნეს არუგვიანეს 2020 წლის 18 თებერვლისა.
6. პრეტენდენტი უნდა იყოს:
   ა) უმაღლესი განათლების მქონე;
   ბ) ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;
   გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;
   დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.
7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
   ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
   ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;
   გ) უნივერსიტეტის შესაბამისი სფეროს განვითარების სამოქმედო გეგმა;
   დ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
   ე) ავტობიოგრაფია (CV);
   ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე;
   ზ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
   თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

კარტოფილში მავნე ორგანიზმები აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“, თურქეთის მხრიდან 49 ტონა სასურსათო კარტოფილი შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის ფარგლებში, ეს საქონელი, საკარანტინო მავნე ორგანიზმებზე ლაბორატორიულ კვლევას დაექვემდებარა.

კვლევის შედეგად, კარტოფილში რგოლური სიდამპლის (Clavibacter Michiganensis Subsp8 Sepedonicus) არსებობა დადასტურდა.

ამ ტვირთს, უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში დააბრუნებენ.

ქართული ღვინით აღფრთოვანებული გერმანელები

გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ქართული ღვინის პროფესიონალური დეგუსტაცია გაიმართა, რომლისთვისაც საფერავის ყურძნის ჯიშისგან სხვადასხვა ტექნოლოგიით წარმოებული 20-მდე ღვინო სპეციალურად შეირჩა.

პრეზენტაციას გერმანული ღვინის ჟურნალის „VINUM"-ის მთავარი რედაქტორი და ღვინის ცნობილი ექსპერტი რუდოლფ კნოლი უძღვებოდა. ღონისძიებას ადგილობრივი სომელიეები, დარგის ექსპერტები, იმპორტიორები და მედიაექსპერტები ესწრებოდნენ.

რუდოლფ კნოლის შეფასებით, გერმანიაში ქართული ღვინის დეგუსტაცია ძალიან მნიშვნელოვანია.

„გერმანია არის ღვინის ქვეყანა და ძალიან კარგი ბაზარი. იმ ქვეყნებს, რომლებსაც უნდათ გერმანიაში შემოსვლა და თავიანთი თავის წარდგენა, არა მხოლოდ კარგი ღვინო უნდა წარადგინონ, არამედ ძალიან კარგი პრეზენტაციაც უნდა გაუკეთონ საკუთარ ქვეყანას. საქართველოს საამისოდ ყველანაირი შანსი აქვს. დღეს წარმოდგენილი საზოგადოება იყო მედიის სფერო და სომელიეები, ყველა იყო აღფრთოვანებული, იმით რაც გასინჯეს და მოისმინეს. ძალიან მოეწონათ საფერავის ჯიში, რომელსაც გერმანიაში არ იცნობენ. საფერავს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს გერმანულ ბაზარზე, თავისი უძველესი ისტორიიდან გამომდინარე. ვფიქრობ, რომ საქართველო თუ განაგრძობს თავისი ქვეყნის ასეთ წარდგინებას ევროპის ბაზარზე, ეს ძალიან წარმატებული იქნება მთელი მსოფლიოს მასშტაბით", — აღნიშნა გერმანელმა ღვინის ექსპერტმა.

მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით, საქართველოდან გერმანიაში ექსპორტირებულია 615 ათასზე მეტი ბოთლი ღვინო, რაც 40%-ით მეტია შარშანდელი წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

უცნაური ნაძვის ხე

ვილნიუსის აეროპორტში მგზავრებისთვის ჩამორთმეული ნივთებისგან შემდგარი ნაძვის ხე დადგეს. ლიეტუვის დედაქალაქის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, მთავარ ნაძვის ხესთან ერთად, კიდევ ერთი პატარა საშობაო ხე დადგას, რომელიც მგზავრებისთვის ჩამორთმეული იმ ნივთებით არის აწყობილი, რომელთა თვითმფრინავის ბორტზე ატანა ხელბარგით აკრძალულია.

1,5 მეტრის სიმაღლის ორიგინალური საშობაო ხე ძირითადად მაკრატლებისგან და დანებისგან შედგება, თუმცა მასზე ასევე წარმოდგენილია სანთებელები, ტყვიები და ცეცხლსასროლი იარაღის ასლები.

„ჩვენი მიზანია, საავიაციო უსაფრთხოების მნიშვნელობაზე საგანმანათლებლო სიგნალის გაგზავნა. ამ ნივთების ატანა ხელბარგში აკრძალულია, ამიტომ ისინი მგზავრებს ჩამოართვეს შემოწმების დროს. ასე რომ, თუ არ გსურთ, რომ თქვენი პირადი ნივთები მომავალ წელს ჩვენს საშობაო ნაძვის ხეზე აღმოჩნდეს, კარგად შეამოწმეთ თქვენი ბარგის შიგთავსი მომავალი ფრენისთვის მზადებისას", — განაცხადა „ბიბისისთან" საუბარში ვილნიუსის აეროპორტის პრესსპიკერმა.

100 ყველაზე გავლენიანი ქალი

ჟურნალმა Forbes-მა 2019 წლის ყველაზე **გავლენიანი 100 ქალი დაასახელა. რეიტინგში პირველი ადგილი გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს უკავია. მერკელი უკვე 9 წელია Forbes-ის სიის რეიტინგის სათავეშია.**

მეორე ადგილზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი კრისტინ ლაგარდია. მესამე ადგილს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი იკავებს.

სიაში 20-ე ადგილზეა ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი, დედოფალი ელისაბედ მეორე მე-40 ადგილს იკავებს, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი და მისი ქალიშვილი 42-ე ადგილზეა.

საშობაოდ ბეთლემი და იერუსალიმი ღაზელთათვის ჩაიკეტა

ღაზის სექტორში მცხოვრები ქრისტიანები საშობაოდ ბეთლემსა და იერუსალიმში შესვლას ვერ შეძლებენ, ისევე, როგორც მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე გადასვლას. შეზღუდვები ისრაელის ხელისუფლებამ დააწესა.

ღაზაში დაახლოებით 1000-მდე ქრისტიანი ცხოვრობს. მათი უმეტესობა მართლმადიდებელია.

ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც ღაზის მაცხოვრებლებს ტერიტორიის დატოვება შეეძლებათ, ალენბაის ხიდის გავლით, იორდანიის საკონტროლო-გამშვები პუნქტია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ისინი წმინდა ქალაქებში მოხვედრას ვერ შეძლებენ.

სამცხე-ჯავახეთში წითელ ნუსხაში შეტანილი კავკასიური მურა დათვის ბელი მოკლეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ახალციხის მუნიციპალიტეტში უკანონო ნადირობის ფაქტი გამოავლინეს.

დეპარტამენტის ინფორმაციით, მოქალაქემ სოფელ ტყემლანას მიმდებარედ გაუფორმებელი იარაღით მოინადირა წითელ ნუსხაში შეტანილი კავკასიური მურა დათვის ბელი, რომლის წონამ 30 კილოგრამი შეადგინა. **„სამართალდამრღვევი ნანადირევის ტრანსპორტირებას ავტომანქანით ორ თანმხლებ პირთან ერთად ახდენდა. იგი იარაღითა და ნანადირევით გაქცევას შეეცადა, მაგრამ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მიმალვის საშუალება არ მისცეს. სამართალდამრღვევმა ჩადენილი დანაშაული აღიარა.**

ვინაიდან აღნიშნული სამართალდარღვევა სისხლის სამართლის ნიშნებს შეიცავს, მასალები, შემდეგი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხის რაიონულ სამმართველოში გადაიგზავნა", — აღნიშნულია ინფორმაციაში.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის" გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი"
577 991651
577 308847
შპს „მაცნე"
599 982777
„პლანეტა ფორტე"
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8661; ევრო - 3.1900;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7821;
100 რუბლი - 4.5362; თურქული ლირა - 0.4956;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6879;
1000 სომხური დრამი - 5.9985.

ამინდი 14 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge